ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჭიჭინაძე.

# მეცნიერული უმეცრება. 1/

/პროფ. კეკელიძის უკანასკნელი გამოკვლევის გამო/.

## I.

პროფ. კეკელიძემ თავის უკანასკნელ გამოკვლევაში "ავტორი ვეფხის ტყაოსანისა და დრო მისი დაწერისა" 2/ ძველად მის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა გვერდით ბევრი ახალი მოსაზრება წამოაყენა. ეს მოსაზრებანი - როგორც ძველი ისე ახალი - შეცდომათა ერთ გრძელ ჯაჭვს წარმოადგენს. მთელი ეს ახალი მისი გამოკვლევა აქი-ლესის გაშიშვლებულ ქუსლს მოგვაგონებს, რომელიც შეიმსჭვალება ყოველი მხრიდან, საიდანაც-კი არ უნდა მიუდგეთ მას. მე განვი-ხილავ ამ გამოკვლევას, რამდენადაც შეიძლება მოკლედ, თუმცა ავ-ტორის არცერთ მნიშვნელოვან მოსაზრებას ყურადღების გარეშე არ დავტოვებ.

პროფ. კეკელიძის ძირითადი მოსაზრებანი:- 1/ ვეფხის-ტყაოსანი დაუწერია არა შოთა რუსთაველს, არამედ სარგის თმოგველს. რუსთაველი ყოფილა მე-16 საუკუნის მელექსე, ვეფხის-ტყაოსანის გამგრძელებელი; 2/ ვინაიდან პოემაში ხშირად გვხვდება პესიმისტური აზრები, ამიტომ ის დაწერილია არა თამარის დროს, როდესაც მატერიალური დოვლათიანობის გამო პესიმიზმს გამომწვევი მიზეზები არ ექნებოდა, არამედ მონღოლების შემოსევის შემდეგ; 3/ თავის პოემაში "პოეტმა თვალწინ გადაგვიშალა აღმოსავლურ-მაჰმადიანური სამყარო მე-XII - XIII საუკუნეებისა, კერძოდ - მან აგვიწერა მუსლიმანური სექტის ასასინ-მილიდების /მულიდების/ დამახასია-თებელი თვისებანი.

---

1/ წაკითხულია ორ მოხსენებად-მწერალთა სასახლეში /11 ნოემბერს/ და განათლების მუშაკთა სახლში /11 დეკემბერს. 1931 წ./.

2/ ჟურნალი "მნათობი", 1931 წ., №№ 7 - 8 და 9 - 10.

რომ შოთა რუსთაველი ვითომც ვეფხის-ტყაოსნის ავტორი არ არის, ამ აზრის დასამტკიცებლად მკვლევარი თავდაპირველად შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს:- "სახელწოდება რუსთაველი ჩნდება მხოლოდ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში"[4], ესე იგი მას პირველად ვხვდებით ამ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში. როგორც ეტყობა, პროფ. კეკელიძეს ჰგონია, რომ ესა თუ ის სახელი ან სახელწოდება ჩ ნ დ ე ბ ა მაშინ, როდესაც მას მწერლობაში მოიხსენებენ. არარატი მოხსენებულია პირველად "დაბადებაში". მაშასადამე სახელწოდება "არარატი" გაჩნდა იმ დროს, როდესაც "დაბადება" დაიწერა. მე - 16 საუკუნის პოეტებს რომ არ მოეხსენებიათ რუსთაველი, მაშინ ის გაჩნდებოდა მე-17 საუკუნეში. მაგრამ არც მე-17 საუკუნის პოეტები იყვნენ ვალდებული ეწერათ რუსთაველზე. საქართველოში ხომ ბევრი იყო და დღესაც არის ისეთი პოეტი, რომელსაც რუსთაველი თავის ნაწერებში არ უხსენებია. მაშასადამე, ეს სახელწოდება სულაც არ გაჩნდებოდა, შემდეგი დროის პოეტთა კეთილი სურვილი რომ არ ყოფილიყო.

მაინც რა მიზეზია, რომ მე-16 საუკუნემდე რუსთაველს არ იხსენიებს არცერთი ლიტერატურული ძეგლი? ეს მიზეზი სრულიად მარტივია და მას თვითონ პროფ. კეკელიძე უნდა გვიხსნიდეს, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ა რ ა რ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ უ ლ ს მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი მე-16 ს ა უ კ უ ნ ე მ დ ე ი მ ი ტ ო მ, რ ო მ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს შ ე მ დ ე გ მე-16 ს ა უ კ უ ნ ე მ დ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ს ა ე რ ო მ წ ე რ ლ ო ბ ა ა ღ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ დ ა. თვითონ პროფ. კეკელიძის აზრით, მონღოლების შემოსევიდან მე-16 საუკუნემდე ჩვენში ასეთი მწერლობა აღარ არსებობდა ს რ უ ლ ი ა დ. აიღეთ მისი ლიტერატურის ისტორია, იქ 164 გვერ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დზე თავდება კლასიკური პერიოდის მწერლობის განხილვა და შემდეგ გვერდზე მიდის "აღორძინების პერიოდი". არცერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მოხდა იმ სამი საუკუნის მანძილზე, რომელიც ამ ორ ეპოქასა ჰყოფს. მხოლოდ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:- "აი ყველა ამის შედეგით მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურული ჰორიზონტი საშინელმა წყვდიადმა მოიცვა და არამც თუ არაფერ ახალს ამ ხანაში ჩვენ არ ვხედავთ, წინა დროის ლიტერატურული მემკვიდრეობაც-კი განიავდა და დაიშრიტა" /გვ. 16 /.

მაშ რა მოხდა? სად და ვის უნდა მოეხსენებია სახელწოდება "რუსთველი" მე-16 საუკუნემდე? ვეფხის-ტყაოსანის უკანასკნელ ტაეპს, რომელშიაც თამარის ეპოქის მწერლები არიან მოხსენებული, პროფ. კეკელიძე ხომ მე-16 საუკუნის ნაწარმოებად სთვლის და, მაშასადამე, შავთელი და ხონელიც მანამდე არავის უხსენებია, მაგრამ ამიტომ ისინი მე-16 საუკუნეში კი არ გაჩენილან. რუსთაველმა რაღა დააშავა? ზოგიერთი მკვლევარი პროფ. კეკელიძეს არ ეთანხმება, ისინი ფიქრობენ, რომ მაგალითად "იოსებ-ზილიხანიანი" და "შაჰ-ნამე", მე-16 საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრეა ქართულად ნათარგმნი; ამ პოემის მთარგმნელები რუსთაველს იხსენებენ დიდის ამბით, მაშასადამე, პროფ. კეკელიძის ეს მოსაზრება სრულიად უნიადაგოა, თვითონ მისივე ლიტერატურის ისტორიის მიხედვით.

პროფ. კეკელიძე კითხულობს, თუ საიდან გაიგეს მე-16 საუკუნის მწერლებმა, რომ პოემის დამწერი არის რუსთაველი, და თვითონ უპასუხებს:-"ეს რა თქმა უნდა, გაიგეს პოემის პროლოგისა და ეპილოგის იმ ოთხი ტაეპიდან, სადაც რუსთაველია მოხსენებული"-ო. არა თუ "რა თქმა უნდა" არამედ პირიქით, ეს სულაც

არ არის მართალი. თუ მხედველობაში მივიღებთ რუსთაველის არაჩვეულებრივ პოპულარობას საქართველოში საერთოდ და კერძოდ მე-16-17 საუკუნეებში, რომლის შესახებ ქვემოთ მომიხდება ლაპარაკი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ, არა თუ მწერალს, არცერთ ქართველ კაცს მაშინ, ისე როგორც ახლა, რუსთაველის სახელი პოემიდან არ გაუგია. ეს სახელი იჭრება ქართველი ადამიანის ცნობიერებაში გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ის ვეფხის-ტყაოსნის წაკითხვას შესძლებდეს.

პროფ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ოთხი ტაეპი, საიდანაც მე-16 საუკუნის მწერლებმა კითომ სახელწოდება "რუსთველი" გაიგეს, ყალბია და დაწერილია იმავე საუკუნეში ამ მეორე რუსთაველის მიერ. მისი აზრით პროლოგის ოთხი ტაეპი თავდაპირველად "ბოლოში იყო და არა დასაწყისში". ჯერ ერთი, როგორ მოხდა იმავე საუკუნის იმავე ნახევარში ტაეპის ასეთი გადაჯგუფება? ტაეპები ხომ არ იყვნენ, რომ ესკიპნათ და ერთბაშად ბოლოდან თავში გადმომხტარიყვნენ? ასეთ გადაჯგუფებათა კანონიზაციას, თუ-კი ეს საერთოდ შესაძლებელია პოპულარულ ნაწარმოებში, დასჭირდებოდა გადაწერათა ხანგრძლივი, საუკუნეებრივი პროცესი. მაგრამ უფრო საინტერესოა, თუ როგორ ფიქრობს ამას პროფ. კეკელიძე.

მისი აზრით, ტაეპი "მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი...დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ ხობილი", ახალგაზრდა ტარიელს არ გულისხმობს, რადგან მისი ბედი სატირალი აღარ იყო, რა კი მან მიზანს მიაღწია, არამედ ის დაწერილია "ტარიელის დასნეულებისა და აუცილებელი სიკვდილის შესახებ".

აი, თუ გნებავთ, ახალი ამბავი, ეს არის! თურმე ამ აცრემლებულ ტაეპებში რუსთაველს გამიჯნურებული ტარიელის ტრაგედია კი არა აქვს მხედველობაში, არამედ მიხრწნილი, ოთხმოცი წლის ~~ტარიელის~~ მოხუცის სნეულება და გარდაცვალება. აქ არის კიდევ

შემდეგი ~~[illegible]~~ გარემოება:- პროფ. კეკელიძეს იქვე მოჰყავს მეორე ტაეპის /"მე რუსთველი ხელობითა"... / ორი პირველი სტრიქონი, ხოლო ორ დანარჩენს კი გვიმალავს; აი ეს ორი დანარჩენი:-

დავუძლურდი. მ ი ჯ ნ უ რ თ ა თ ვ ი ს კვლა წამალი
არსით არი.
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

რას გამოუწვევია აქ პოეტის ასეთი განჯვა პოემის გმირთა მიჯნურობას, რომელიც ბედნიერად დამთავრდა ოთხივე გმიროსათვის, თუ მათ დასნეულებასა და გარდაცვალებას? ორში ერთია:- ეს ან სრული გაუგებრობაა, ან მკითხველის თვალის ახვევის ცდას წარმოადგენს. არც ერთი და არც მეორე სასახელო არ არის მკვლევარისათვის, მაგრამ მე მგონია მაინც მეორე გარემოებას უნდა ჰქონდეს აქ ადგილი. როგორც ეტყობა, პოემის უკანასკნელი სტრიქონიც "ტარიელ მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლშეუშრობელსა"- ტარიელის მიცვალებას ჰგულისხმობს.

არაფერს იცოდა კიდევ კაცი. ~~[illegible]~~ "რუსთველი", ~~[illegible]~~ კეკელიძის აზრით, ვეფხის-ტყაოსნის ავტორი იყოს, გასაკვირი იქნებოდა როგორმე მისი გლოვა და ტირილი თავისი საყვარელი გმირის გარდაცვალების გამო, რომლის ახალგაზრდობა, მიჯნურობა და მრავალი თავგადასავალი აღწერა მან, მაგრამ კურიოზული ის არის, რომ, როგორც მკვლევარი გადმოგვცემს, ეს "რუსთველი" ყოფილა მე-16 საუკუნის მელექსე, მზე-ჭაბუკ დიდის ალამდარი ანუ მედროშე. დამჯდარა ეს ვიღაც ალამდარი და სტირის დაუსრულებლად ამ სხვის გმირს, სხვის მიცვალებულს - ვინა ხედავს, ვინ ეკითხება?!

აი როგორ ამტკიცებს პროფ. კეკელიძე რუსთველის ალამდარობას. მას მოჰყავს სტრიქონი "მე რუსთველი ხელობითა ვიქმ

საქმესა ამა ღარი" და ამბობს, რომ აქ "ამა ღარი" კი არა, "ალამდარი" უნდა იყოს /არავითარი სხვა საბუთი/ და ასე გვიხსნის მის მიერ "აღდგენილი" სტროფის აზრს:- "ვიქმ საქმესა მე რუსთველი, რომელიც ვარ ხელობით ან თანამდებობით ალამდარი, ესე იგი – მედროშე, მეზაირაღე იმისა, ვისაც მორჩილობს ჯარი სპათა და ვისთვისაც გაგიჟებული და მკვდარი ვარი".

გაუგებრობა აქ ერთი ₩ მეორეზე მეტყდარია. რუსთაველის სიტყვა "ხელობითა" პროფ. კეკელიძეს გაუგია როგორც "თანამდებობა"/1/. მთელი შემაკალ გაუგებრობად ის უნდა ჩაითვალოს კიდევ, რომ პოეტის სიტყვები "ვის მორჩილობს ჯარი სპათა"... ჰგულისხმობს ტარიელს, მკვლევარს კი ჰგონია, თითქოს აქ იგულისხმებოდეს პოემის დამკვეთელი /და ისიც მზე-ჭაბუკი*/.

მაგრამ მთავარი ის არის, თუ რამდენად დაუშვებელია პოემის ტექსტის ასეთი დაუსაბუთებელი გასწორება მკვლევარის მიერ. ვეფხის-ტყაოსანში ბევრი მოიძებნება დამახინჯებული ადგილი; ამ ადგილებს უთუოდ სჭირდება გასწორება, მაგრამ თუ ჩვენ ისინი ამგვარი მარტივი წესით გავსწორეთ, მაშინ ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ კეკელიძის მიერ გასწორებულ სტროფში რომელიმე შემდეგი მკვლევარი გასწორებისავე მიზნით "ალამდარის" მაგიერ "ჩაღქადარს" არ შეიტანს და არ დაიწყებს იმის კვლევა-ძიებას, თუ რუსთაველი რომელი მზე-ჭაბუკის ჩაჴადარი იყო და, როგორც ჩაჴადარმა, რომელ ქვეყნებში უხდებოდა მოგზაურობა /ამას დიდ დახმარებას გაუწევს ვეფხის-ტყაოსნის მდიდარი გეოგრაფიული ნომენკლატურა/, ~~[illegible]~~

ვინაიდან ქვემოთ პროფ. კეკელიძეს მეორე ასეთივე გასწორებაც აქვს, ამიტომ ამასაც მოვიყვან აქ, რადა ერთი და იმავე წესის მიყოლებაზე ერთდროულად კრიტიკით მსჯელობა. იმ აზრის დასამტკიცებლად, თითქოს "ვეფხის-ტყაოსანში" მოლიდები არიან ქა-

ჯების სახით გამოყვანილი. პროფ. კეკელიძე სტრიქონს "მან
ბრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ჯანსა" ასე სცვლის:-
"მან ბრძნეულმან მ ო ლ ი დ რამე წამოისხა ზედან ჯანსა."
მე მოვიყვან ორ მოსაზრებას იმის დასამტკიცებლად, რომ მკვლე-
ვარს, თუ კი ის მეცნიერებაზე მწყრალად არ არის, არავითარ
შემთხვევაში არ შეუძლია ამგვარი შესწორება შეიტანოს ტექსტში:-
1. არ შეიძლება გამსწორებელმა გასწორებაში გრამატიკული შეც-
დომა დაუშვას. ამას ვერ გაამართლებს ვერც ის გარემოება, რომ
რუსთაველს აქვს აქა-იქ გრამატიკული შეუსაბამობა. რატომ? იმი-
ტომ, რომ მკვლევარი ამით კ ე რ ძ ო შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ს
გ ა ა ყ ო ვ ლ ა დ ე ბ ს. ამით ის, თითქოს, გვეუბნება რუსთა-
ველს ყოველ სტრიქონში გრამატიკული შეცდომა აქვსო. თუ ჩვენს
აზროვნებაში ადგილი ექნება რაიმე დისციპლინას, უეჭველად ასე
უნდა ვიმსჯელოთ. როგორი შეცდომებია დაშვებული პროფ. კეკელი-
ძის მიერ წარმოდგენილ კონიექტურებში? პირველში ისეთი, რომელ-
საც გამოხატავს ილია ჭავჭავაძის მოსწრებული ნათქვამი /"შემ-
ლილის" მთარგმნელის მიმართ/ "ფეხი გავიქნიე სელი". მეორეში
კი სიტყვის დაბოლოების ყოვლად დაუშვებელი შეკვეცა.- "მან
მოლიდ",- მაგალითად, ასეთი ფრაზა:- "ქართველმა პოეტ დასწე-
რა ლექსი", ან "ერთმა კაც მოიტანა წერილი". ეს შეკვეცილი
ფორმა დაუშვებელია და ვეფხის-ტყაოსანშიაც არსად გვხვდება.

გარდა ამისა, აქ გაშიშვლებული რჩება სიტყვა "რამე" -
არ შეიძლება "რამეს" წამოისხმა. "რამე" აქ მოსასხამის უჩ-
ვეულობაზე მიგვითითებს, რომლის გამო უჩვეულო ხდება თვით ეს
მოლი /მწვანე ბალახისაგან დაწნული მოსასხამი/- "მოლი რამე".
2. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამსწორებელმა პოემის
ტექსტში ისეთი სიტყვა შეიტანოს, რომელიც ვეფხის-ტყაოსანში

არსად გვხვდება. სიტყვა, რომელიც რუსთაველის ლექსიკაში არ შედის. შესაძლებელია სთქვან, ეს სიტყვა არსებობდა, ამიტომ რუსთაველსაც ეცოდინებოდათ. რა უყოთ, რომ ეცოდინებოდა. რუსთაველმა უეჭველად ყველა იმდროინდელი უცენზურო სიტყვებიც იცოდა, მაგრამ თავის პოემაში კი არ შეუტანია.

ეს საერთო მოსაზრება კერძოდ "მოლიდის" შესახებ კიდევ მეტნება ქვემოთ მსჯელობა, როდესაც ამ საკითხს შევეხები. ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ "ალამდარს". პროფ. კეკელიძემ პოემის ტექსტში ერთი სიტყვის თვითნებური გასწორების შემდეგ წარმოიდგინა, რომ უკვე დაამტკიცა რუსთაველის ალამდარობა და გადავიდა იმის გამოკვლევაზე, თუ ვისი ალამდარი უნდა ყოფილიყო იგი. ამისათვის მან მიმართა ერთ თავის ძველ "საბუთს", -სტრიქონს ინდო-ხაზაულთა ამბავიდან ამოღებულს:- "მაგრა ექნეს სულის მეებრად ქათალიკოს - მაწყვერლად". ეს შედარება შეეხება ავთანდილსა და ფრიდონს, რომლებიც ანუგეშებენ მგლოვიარ ნესტანს და ტარიელს, როდესაც მათ ფარსადანის სიკვდილი გაიგეს. აქ მაწყვერლის დასახელება უდიდეს საბუთს წარმოადგენს ჩემთვის, რადგან სჩანს, რომ ამის დამწერი მესხი უნდა იყოს და, მაშასადამე, ის მესხი რუსთაველი, რომელმაც მთელი პოემა დასწერა. პროფ. კეკელიძეს კი ჰგონია, რომ ეს მის სასარგებლოდ მეტყველებს და ამიტომ მაგრად ჩაუკლია მისთვის ხელი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად განაცხადა მან, რომ ქათალიკოსი და მაწყვერელი ამ სტრიქონში დაპირისპირებული არიან, როგორც ორი სწორუფლებიანი და სწორპატივიანი პირი, ხოლო მათი უფლებრივი გათანასწორება მე-16 საუკუნის დამდეგს მოხდა და ამიტომ ეს "ინდო-ხაზაულთა ამბავი" ამაზე უფრო ადრე არ დაიწერებოდა. მაშინ პ. ინგოროყვამ უპასუხა, ეს დაპირისპირება

ამას არ ნიშნავსო და მეც ასეთივე აზრი გამოვსთქვი ჩემს წიგნში "რუსთაველის გარშემო", მაგრამ არ დაიჯერა და ახლაც იმეორებს მას როგორც შეურყეველ ჭეშმარიტებას.[1] ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია ეს ერთად ერთი /სწორედ მიტომაც არ ეშვება მას/ მისი "საბუთი" ისე ბეჯითად დავშალო და დავარღვიო ახლა, რომ მისი განმეორების სურვილი აღარც მას დარჩეს მომავალში და აღარც სხვას. ფსიქოლო-გიის ელემენტარული კურსიდან ვიცით, თუ როგორ ხდება იდეათა ასოციაცია. როდესაც ორ მოვლენას ერთი ნიშანდობლივი თვისება ახა-სიათებს, მაშინ ადამიანის წარმოდგენაში ხდება მათი დაახლოვება, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ისინი "სწორუფლებიანი და სწორპატივიანი" მოვლენები იყვნენ. რუსთაველის გვერდით, გაურკვე-ული მიზეზების გამო, ხშირად ახსენებენ ჩახრუხაძეს, მაგრამ აქე-დან იმ დასკვნის გამოტანა კი არ შეიძლება, თითქოს ეს ორი პირი ქართულ პოეზიაში სწორუფლებიანი და სწორპატივიანი პოეტი ყოფილი-ყვნენ. იგივე ითქმის შილერისა და გოეთეს შესახებ მსოფლიო მწერლობაში. შორს რომ არ წავიდეთ, მაგდელ-დიაკონი ხომ ორი ერთმანეთზე გადაბ-მული სახელია, მაგრამ მათი, როგორც სასულიერო პირების, სწორუფ-ლებიანობა და სწორპატივიანობა არავის გაუგონია. ახლა ვიკითხოთ, როგორ მოხდა "ქათალიკოსისა" და მაწყვერელის" ასეთი დაახლოვება პოეტის ცნობიერებაში? აი როგორ:- ქათალიკოსი უმაღლესი სასულიერო პირი იყო საქართველოში, მაწყვერელი კი იმ დიდ ოლქში, რომელიც პოეტის სამშობლო კუთხე ყოფილა. როდესაც ქათალიკოსი სამცხეში ჩავიდოდა, ვინ შეეგებებოდა მას პირველი? - მაწყვერელი; ვისთან გაივლიდა იგი?- მაწყვერელთან; ვისთან ერთად სწირავდა, ვისთან ისადილებდა, ვისთან დაბინავდებოდა? - მაწყვერელთან. ქათალიკოს-მაწყვერელი პოემაში შედარებულია ავთანდილ-ფრიდონთან. ავთანდილი

---

[1] იგივე გაიმეორა მისმა მოწაფემ ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ ა ც /"უნივერსიტეტის მოამბე", ტ. მე-9/, მაგრამ როგორღაც მექანიკურად, ეტყობა მასწავლებლის შეხედულება მას საეჭვოდ მიაჩნია

და ფრიდონი არ არიან სწორუფლებიანი და სწორპატივიანი გმირე-ბი პოემისა. ავთანდილი წარიელთან ერთად ყველგან უფრო მაღლაა დაყენებული ვიდრე ფრიდონი. "ორნი მზენი, ერთი მთვარე" - აი პოეტის შედარება. პოეტი რომ წარიელ-ავთანდილის მოყვრობაზე ლაპარაკობს, შემდეგ ამბობს:-"ფრიდონცა ესვა მოყვარე"... ჯერ ავთანდილი იხსენიება სტრიქონში, შემდეგ ფრიდონი, ჯერ ავ-თანდილს ასაჩუქრებენ ხოლმე, შემდეგ ფრიდონს. ამგვარად, თვითონ ეს ადგილიც გვიჩვენებს, რომ, როდესაც იგი დაიწერა, ქათალიკოსი და მაწყვერელი უფლებრივად ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ყ ო ფ ი-ლ ა ნ გ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ უ ლ ი. ესე იგი ეს ცნობა პირ-დაპირ ეწინააღმდეგება მკვლევარის მოსაზრებას. აი ამას ეწოდება თავის დასაკლავი დანის გამოჩხრეკვა. ამგვარი საბუთით უნდა პროფ. კეკელიძეს იმის დამტკიცება, ვითომ "რუსთველს" მე-16 საუკუნეში ეცნობოს და ათაბაგ მზე-ჭაბუკის ალამდარიც კი ყოფილიყოს.

ახლა ერთი საერთო მოსაზრება გამოვსთქვათ ამ საკითხის შე-სახებ, რომელიც საკვსებით გამოააშკარავებს პროფ. კეკელიძის შე-ხედულების არარეალურობას სიმსუბუქეს. ჩვენ ვიცით, რომ მე-16 - 17 საუკუნეებში ვეფხის-ტყაოსანი განსაკუთრებით პოპულარული ნაწარმოები იყო საქართველოში; თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის პოემების შემდეგ დედამიწის ზურგზე არ ყოფილა უფრო პოპულარული ნაწარმოები თავისი ქვეყნის ფარგლებში. ამას ადა-სტურებს მაშინდელი პოეტების მოწმობა; განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა არჩილ მეფის "გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა", სადაც სხვათა შორის ნათქვამია:-

ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს დაემდურება მამა ძეს,
დიდი იქმნება ცილობა, ზოგ-ზოგი კარსაც განაძეს.

ხედავთ, რუსთაველის გარშემო კამათის დროს თურმე მამა-შვილს შეეძლო ერთმანეთის დამდურება და, წარმოიდგინეთ, სახლიდან გაძე-ვებაც კი.[1/] იმდროინდელი პოეტები პირდაპირ თაყვანსა სცემდნენ

1/ ძველ საქართველოში ვეფხის-ტყაოსანი კულტურულობის საზომი იყო, როგორც ცალკე პირის, ისე გვარეულობის და, ასე გასინჯეთ, მთელი რაიო-ნის. ლეჩხუმში, სადაც ოდნავ მედიდურად უცქერიან მეზობელ სვანებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთაველს, სთხოვენ მას ლექსის წერის ნებართვას. მაგალითად, იო-სებ-ზილიხანიანის მთარგმნელი, რომელიც პროფ. კეკელიძის აზრით მე-16 საუკუნის პირველ-ნახევარში სცხოვრობდა, ასე მიმართავს ~~რუსთაველს~~ მას:-

> აჰ, რუსთაველო,- გეხვეწები, რომ მომცე ნება თქმისა,
> არ გაწყრე და არ ამიკლო, თხზვა მე მაქვს ამ ჰოქმისა,
> რომ მკადრე უკადრობა, დაჯდა თქვენის ნასაქმისა...
> მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი,
> რომე აუძრნეთ უშეცურად, თავსა იქვათ მისა დარი,
> ლექსთა ბოლო შემოგაკლდეთ და შეიქნათ სიტყვა მცდარი,
> მას შეუდგე განგებითა წყალობისა დასდა დარი.

და შემდეგ:-

> შენთა ხელთ არის, რუსთველო, საბელი ყველთა ხელისა,
> მომეც ნებანი, გამოვთქვა ამბავი ამა ტარიელისა...

სხვა ქვეყნებში ამგვარი სიტყვებით პოეტები მხოლოდ მეფეს მიმართავდნენ. ახლა კითხვით შემდეგი:* თუ კი, როგორც ამას პროფ. კეკელიძე ფიქრობს, ესოდენ პოპულარული ნაწარმოები სარგის თმოგველის, ამ ისედაც დიდმნიშვნელოვანი პიროვნების დაწერილი იყო, როგორ მოახერხა და რანაირად შესძლო ვიღაც მეორემ რუსთველმა საქვეყნოდ წაერთმია მისთვის და მიეთვისებია ეს პოემა?* გაგვიგონია, რომ მჭლე ძროხამ მსუქანი ძროხა ჩაყლაპა, მაგრამ ეს მოხდა ფარაონის სიზმარში და იქაც ამ ამბავს ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ცხადლივ კი, ყველა თვალის წინ, როგორ გადაყლაპა ამ ვიღაც არამდარმა სახელოვანი სარგის თმოგველი, ისე რომ ეს ვერ შეამჩნია ვერავინ, სანამ პროფ. კეკელიძე არ მიე-

---

კოლეგიურობის მხრივ, ასეთი ლექსი შენახულა:-

> სვანეთს ქალი გავათხოვე, ზილფუხან და კოხსანი,
> შესაქცევად გავაყოლე ჩემი ვეფხის-ტყაოსანი;
> იკითხეს და ვერად იცნეს, რადგან იცნენ სვანისანნი,-
> ავიღე და წამოვიღე ჩემი ვეფხის-ტყაოსანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შველა და არ გაანთავისუფლა იგი საშინელი ურჩხულისაგან? როგორ შეიძლება, მაგალითად, რომელიმე თანამედროვე პოეტმა ბარათაშვილს წაართვას "ბედი ქართლისა" ან მიითვისოს თუნდაც ისეთი უავტორო ლექსი, როგორიც არის "არსენა ყაჩაღი", რა მინაწერიც არ უნდა წაუკეთოს მას? ან რა გზით, რა ტექნიკური საშუალებით შესძლებოდა მე-16 საუკუნეში ეს ვიღაც ალამდარი თავისი შერყვნილი ტექსტის გავრცელებას მთელს საქართველოში, სადაც ყველგან უკვე მიღებული იყო ნამდვილი ტექსტის ხელნაწერები? სხვებს რომ თავი დავანებოთ, როგორ მოხდა, რომ თითქმის მისმა, თვით კეკელიძის აზრით, თანამედროვემ, იოსებ-ზილიხანიანის მთარგმნელმა, ეს ყალბისმქნელი ალამდარი ვეფხის-ტყაოსნის ნამდვილ ავტორად იწამა? ასე ერთბაშად ალამდარი კი არა, ქრისტეც კი არავის მიუღია. ან ეგებ ზემოთ მოყვანილი ტაეპები იოსებ-ზილიხანიანიდან დაცინვას წარმოადგენს? ჩვენს მუზეუმებში დაცულია პოემის ისეთი ხელნაწერები, რომლებიც უშუალოდ მე-16 საუკუნეს ეკუთვნიან, და როგორ მოასწრო ამ პერიოდში "რუსთველმა" ყველგან მოკალათება? საერთოდ ეს აზრი იმდენად გასაშტერებელია თავისი შეუსაბამობით, რომ ლიტერატურული კვლევა-ძიების ისტორიაში მსგავსი მაგალითი ვერ მოიძებნება.

ძნელია ყველა იმ გაუგებრობათა ამოწურვა, რომლებიც ამ საკითხის გარშემო დაუგროვებია პროფ. კეკელიძეს. აი კიდევ ორი მაგალითი: ჩვენ ვიცით, რომ მან თავის "ლიტერატურის ისტორიაში" /გვ.92/ გამოსთქვა აზრი, თითქოს პოემის პროლოგი და ეპილოგი სამი საუკუნით უფრო გვიან /ესე იგი მე-16 საუკუნეში/ ყოფილიყო დაწერილი. ახლა კი ამ წერილში /გვ.154/, სწერს, რომ "რუსთველის" შემცველი პროლოგის ორი ტაეპი პოემის მეორე დამატების ეპილოგიდან გადასულა წინასიტყვაობაში. ასე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლის, რომ მე-16 საუკუნეში პოემის პროლოგი სხვას დაუწერია და ეს ალბათ კიდევ სხვა ვინმე ყოფილა. მეორე:- წერილის დასაწყისში სწერს:-"არას ვამბობ "შოთა" სახელის შესახებ, რომელიც პირველად გვხვდება მე-17 საუკუნეში"-ო და ჰგონია, რომ ეს საკითხი თავიდან მოიშორა ამით. მკვლევარი ვერ ამჩნევს, რომ "რუსთველის" და "შოთას" ასეთი დაცილება ერთმანეთისაგან კი არ ამსუბუქებს არამედ ართულებს მის მდგომარეობას. გამოდის, რომ შოთა კიდევ სხვა პიროვნება არის. ამგვარად, ვეფხის-ტყაოსანი დაუწერია ერთ პირს, პროლოგი მეორეს, "რუსთველის" შემცველი ტაეპები და "გაგრძელებანი" - მესამეს და შოთა კი კიდევ მეოთხე პირი ყოფილა. ავტორს არა აქვს აკრძალული ასეთი ზღაპრების შეთხზვა, მაგრამ დასაშვებია თუ არა მისი გამოქვეყნება, ეს მკითხველმა განსაჯოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება:- პროფ. კეკელიძე ამბობს, რომ ამ მელოტმე რუსთველს დაუწერია ვეფხის-ტყაოსნის სამი ეგრეთწოდებული დამატება. ჩვენ ვიცით, რომ პირველი "დამატება" უშუალოდ ებმის პოემის ულაი ნაწილს, ხოლო მეორეს აქვს თავისი დამოუკიდებელი წინასიტყვაობა /"აქ გონიერნი, სიტყვანი"/. თუ ეს გაგრძელება სხვისაა და ისიც ერთი პირის დაწერილია [1], მაშინ გამგრძელებელი წინასიტყვაობას დაწერდა გაგრძელების თავში და არა შუაში; ვის უნახავს და სად გაგონილა წინასიტყვაობის მოთავსება შუაგულ ტექსტში?

---

1/ თუ რამდენად არეულ-დარეული წარმოდგენა აქვს ამ საკითხის შესახებ პროფ. კეკელიძეს, სჩანს შემდეგიდან:- ის ამ გამოკვლევაში /მნათობი, 7-8, გვ. 154/ სწერს:-"სამივე დამატება ერთსა და იმავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს"-ო, ხოლო "შვიდი მთიების" წინასიტყვაობაში, რომლის დაბეჭდვის შემდეგ ერთი წელიწადი თუ გასულა, იგი ამბობს /გვ. V/:-"პირველი გამგრძელებელნი "ვეფხის-ტყაოსანისა უეჭველად ვერ გამოირჩეოდნენ"...მაშ ეს დამატებანი, რომლებსაც ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელებანი ეწოდება, ერთს კი არა, რამდენიმე პირს დაუწერია?

II.

შემდეგ პროფ. კეკელიძე, დარწმუნებული თავის ზემოთ განხილულ მოსაზრებათა გამანადგურებელ ძალაში, სწერს:- "მე შევეცადე დამენახვებია დაინტერესებულთათვის, რომ შოთა რუსთაველს არ დაუწერია ვეფხის-ტყაოსანი"-ო, და იწყებს ნამდვილი ავტორის ძებნას. ვინაიდან მკვლევარის მიერ პოემის ავტორად მიჩნეული პირი /სარგის თმოგველი/ მონღოლების შემოსევის შემდეგ მოღვაწეობდა, რის გამო თამარის დროინდელ მწერლობაში მონაწილეობას უეჭველად ვერ მიიღებდა, ამიტომ პროფ. კეკელიძე, თვით ვეფხის-ტყაოსანის ტექსტზე დამყარებით, ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ეს ნაწარმოები თამარის დროს არ დაიწერებოდა, რომ ის დაწერილია მონღოლების შემოსევის შემდეგ. ამ აზრის დასამტკიცებლად ის აღნიშნავს, რომ ვეფხის-ტყაოსანში "თავიდან ბოლომდე მოისმის პესიმისტური ჰანგები". ხოლო თამარის დოვლათიანი და ლაღი დრო ასეთ "ჰანგებს" არ წარმოშობდა, მაშასადამე, პოემა დაწერილია მონღოლების შემოსევის შემდეგ, როდესაც პოეტს მწუხარების საბუთი ექნებოდა. თუ ჩვენ პესიმიზმს ისე გავიგებთ, როგორც იგი გაგებულია საერთოდ, რაზედაც ქვემოთ მექნება ლაპარაკი, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ აქ შემცდარია თვით გამოსავალი დებულება მკვლევარისა.- პირიქით, ვეფხის-ტყაოსანში გაშლილია პოეტის ოპტიმისტური, ნათელი და სიცოცხლით სავსე მსოფლმხედველობა. მაგრამ თუ კამათი პროფ. კეკელიძის გამოკვლევის წინააღმდეგ ამ გზით წარვმართეთ, მაშინ ის აქვე დასრულდება, ეს კი სასურველი არ არის. საჭიროა დროებით დავდგეთ მკვლევარის თვალსაზრისზე "პესიმისტური ჰანგების" შესახებ და გავსინჯოთ, თუ როგორია აქ მისი კვლევა-ძიების მეთოდები და მათი გამოყენება მის მიერ /პროფ. კეკელიძის მოსაზრებათა არაჩვეულებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისუსვე, სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ მე, როგორც ამას მკითხველი შეამჩნევდა, ხშირად მისი არსებითად შემცდარი შეხედულების თვალსაზრისზე ვდგები და მაშინაც სრული შეუსაბამობა გვეშლება თავიდან/.

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ამ თავის ახალ გამოკვლევაში იყენებს ლიტერატურული კრიტიკის მარქსისტულ მეთოდს. "კათალი-კოს-მაწყვერელისა" არ იყოს, პროფ. კეკელიძეს აქაც თავისი დასაკლავი დანისთვის უტაცნია ხელი. მაგალითად შეიძლება ითქვას, რომ მარქსისტულ კრიტიკას არ შეუძლია დაასახელოს ისეთი ეპოქა საქართველოს ისტორიაში მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული უკანასკნელ ხანამდე, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა ვეფხის-ტყაოსნის დაწერა. ცნობილი გერმანელი მარქსისტი მკვლევარი პაუზენშტეინი ამბობს: „ყოველი ეპოქა მხატვრულ ფორმათა სტილ-ში აკონკრეტირებს საზოგადოების სტილს"-ო. ჩვენ კი ვიცით, რომ თამარის ეპოქისა და განსაკუთრებით მონღოლების შემოსე-ვის შემდეგ საქართველოს არა ჰქონია ისეთი საზოგადოება და ხელისუფლება, რომელთა სტილის კონცენტრაცია პოემის ამგვარ სტილს მოგვცემდა. სხვა რომ არაფერი იყოს, მარტო ერთი ასე-თი კითხვა გაანადგურებს, სწორედ მარქსისტული კრიტიკის თვალ-საზრისით, პროფ. კეკელიძის მოსაზრებას: „რა ძალით, რა ენერ-გიით გააჩნდა ვეფხის-ტყაოსანი დამწერლობას ისეთმა ეპოქამ, რო-გორიც იყო მონღოლების ბატონობის ხანა საქართველოში, რომ ეს პოემა მთელი საუკუნეების მანძილზე დარჩა უცვლელი, და დღე-საც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც, მის შესახებ კამათი არ სცხრება? ყველამ ვიცით, რომ ეს ნაწარმოები დიდ გავლე-ნას ახდენდა აღორძინების ხანის მწერლობაზე; დასკვნისათვის პროფ. კეკელიძემ თუნდაც ერთი ნაწარმოები მხოლოდ ლიტერატუ-

რაში, რომელიც დაწერილიყოს დაცემულობის ხანაში და აღორძინების მწერლობა კი მისი ნიშნის ქვეშ ჩატარებულიყოს. ამას ის ვერ შესძლებს.

სამაგიეროდ პროფ. კეკელიძე ძალიან კარგად ახერხებს მარქსისტული კრიტიკის მეთოდების ვულგარიზაციას. იქ სადაც თვითონ მარქსი ერთგვარ სიძნელეს ხედავდა, როდესაც იგი ყველა საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთად ხელოვნების საკითხებსაც თავისი ფართო მსოფლმხედველობის ორბიტაში ათავსებდა, პროფ. კეკელიძე "მარქსიზმის" საშუალებით ერთი დაკვრით სჭრის საკითხს. ის ამნაირი ფრაზით იწყებს თავის საარაკო სოციოლოგიურ-კვლევა-ძიებას:- "როგორც ვიცით, "მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას"; ამ დებულების მიხედვით /!/ ჩვენ უნდა შევათანხმოთ, შესაძლებელია თუ არა პოემა დაწერილი ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში-თამარის დროს, როგორც ეს უმრავლესობას ჰგონია?" და ამოწმებს კიდეც,- აი როგორ ამოწმებს:- "ქვეყნის ნივთიერ დოვლათიანობას ხელს უწყობდა, პირველ ყოვლისა, ინტენსიური /მამინდელი მასშტაბით/ მეურნეობის განვითარება, რომელსაც ფრთებს ასხამდა სახელი მთერთვანი თამარისა, როგორც ამას მოწმობს ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები:- "ურმანი მემრეწლენი განაპებისა შინა ორნაგისა თამარის ქებათა მელექსებდიან". ეს შესანიშნავი აზრი ვექტელად მარქსიზმ-ლენინიზმის ქრესტომათიაში უნდა იქნეს შეტანილი. თურმე მენავირე, ან სახვნელზე მიკიდებული ბიჭები "მთერთვანი" თამარის შესახებ ლექსებს მღეროდნენ და ეს ფრთებს ასხამდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას! ამას ხომ არცერთი პოეტი არ იტყოდა თავის ლექსში! მაგრამ ვეფხისტყაოსანის გარშემო კვლევა-ძიებაში ყველაფერი დაუჯერელად შეიძლება წარმოიდგინოს და დაიწეროს.

პროფ. კეკელიძეს ძალიან მარტივად წარმოუდგენია მატერიალისტური მოძღვრება. მაშინ როდესაც გამოჩენილი მარქსისტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული სიფრთხილით არკვევენ იმ მატერიალურ ბაზას, რომელიც ადამიანის გონებრივი შემოქმედების ამა თუ იმ ნაყოფს დასდებია საფუძვლად, და ზოგჯერ თანამედროვე ხელოვნებაში რომელიმე მოვლენის ასახსნელად პრეისტორიული ადამიანის მდგომარეობასაც კი იღებენ მხედველობაში. პროფ. კეკელიძეს ჰგონია, რომ მარქსისტული კვლევა-ძიების მეთოდი ზუსტად ათარიღებს წარსული საუკუნეების წიაღში წარმოშობილ ყოველგვარ იდეოლოგიას. მისი აზრით, პესიმისტური ნაწარმოები, მაგალითად, შეიძლებოდა დაწერილიყო - 1192 წელს, მაგრამ 1193 წელს კი ასეთი ნაწარმოები აღარ დაიწერებოდა. მას ჰგონია: " საკმარია შეიცვალოს ესა თუ ის ეკონომიური პირობები, და მათ ნიადაგზე აღმოცენებული იდეოლოგიაც იმ-წამშივე შეიცვლება.

ბიოლოგიის სფეროდან რომ მოვიყვანოთ ანალოგია, მკვლევარი ამგვარად მსჯელობს: " თუ დღეს წვიმა არის - მცენარე დალპება, თუ ხვალ მზე გამოვიდა - მცენარე გადაიწვის. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ქვეყანა დიდიხანია დაიღუპებოდა. მცენარე განვლილი დღეების სითბო-სინესტეს ისე ითვისებს, რომ შემთხვევითი ატმოსფერული მოვლენები მასში მოულოდნელ ორგანიულ ცვლილებებს არ იწვევენ. მაგრამ სეტყვამ შეიძლება დაღუპოს ზოგიერთი მცენარე, ეს იქნება კატასტროფა მისთვის 1/. მართალია, მარქსიზმი ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას ხსნის ეკონომიური პირობებით, მაგრამ მას ყოველთვის მხედველობაში აქვს ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი. პლეხანოვი ამბობს: " "აბა სცადეთ მისცეთ საფრანგეთის მე-18 საუკუნის მხატვრობაში დავითის შკოლის წარმოშობის ფაქტს უ შ უ ა ლ ო ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ახსნა: " არაფერი არ გამოგივათ გარდა სასაცილო და მოსაწყენი აბდაუბდისა"2/. ასეთ საკითხებში დიდი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური ხასიათის ზოგჯერ

---

1/ ასეთი კატასტროფა იყო ქართული კულტურისათვის მონღოლების თავდასხმა და მათი ბატონობა. პროფ. კეკელიძეს ამ საკითხზე გამოთქმულია აზრი, მაგრამ ამის შესახებ თავის დროზე გვექნება ქვემოთ მსჯელობა.-

2/ П л е х а н о в. Основные вопросы марксизма.

ისეთ ფაქტებს, რომლებსაც შესაძლებელია შორეულ წარსულში მიეძებნის ახსნა/ახსნა, რა თქმა უნდა, მატერიალისტურ ნიადაგზე. "ლაბრიოლას აზრით, -სწერს პლეხანოვი, -საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ, რომ იდეოლოგიებში ხშირად ძალიან დიდ როლს ასრულებენ ისეთ ცნებათა და შეხედულებათა გ ა ნ ც დ ა ნ ი, რომლებიც მემკვიდრეობით მიღებულია წინაპართაგან და შენახულია მხოლოდ ტრადიციით"-ო.

ავიღოთ მაგალითი ჩვენი მწერლობიდან. ვაჟა-ფშაველა მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა, მოგზაურობდა რკინის გზით, ფუნიკულიორზე ტრამვაით ასულა, არა ერთხელ ავტომობილისაც დაუთმია გზა, რამდენჯერ ელექტრონით გაშუქებულ დარბაზშიც მჯდარა, მაგრამ არსად თავის ლექსებში ერთხელაც არ უხსენებია არც ლოკომოტივი, არც ტრამვაი, არც ავტომობილი, არც ელექტრონი. მთელი მისი პოეზიის შინაარსი საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა დამყარებული. როგორ აიხსნება ეს მარქსისტული თვალსაზრისით? სულ ადვილად:- ვაჟა-ფშაველაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ფშავ-ხევსურეთში დარჩენილმა ძველმა ხალხურმა პოეზიამ, რომლის წარმოშობა შორეულ წარსულში, თავის მხრივ, სავსებით მატერიალისტურად განიმარტება. პროფ. კეკელიძის თვალსაზრისი რომ მივიღოთ, სრულიად გაუგებარი იქნება მარქსისტული მეცნიერებისათვის ის ფაქტი, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ეკონომიურ პირობებში, ერთი და იმავე წრეებიდან გამოსული ორი ქართველი პოეტი - ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი - ერთი ღოთებს, ღვინოს და მწვადებს უმღერის, ხოლო მეორე სულიერ ობლობას დასტირის.

მკვლევარი სრულიად არ უწევს ანგარიშს სხვა/და/სხვა იდეოლოგიათა ურთიერთ ზეგავლენას და ამიტომ ადამიანის "მდგომარეობა" და " შეგნება" უცვლელად არის მის მიერ გაგებული. წარმოვიდგინოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, არსებობს ორი მეზობელი სახელმწიფო - დიდი და პატარა; დიდი კულტურულ გავლენას ახდენს პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარაზე. ტიპ სახელმწიფოში განსაზღვრული ეკონომიური პირობების ნიადაგზე წარმოიშვა რაიმე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა. ეს მიმდინარეობა უეჭველად გავლენას მოახდენს პატარა მეზობელის ლიტერატურაზე, თუმცა იქ სხვა ეკონომიური პირობები იყოს. ახლა ვიკითხოთ, შეძლებს თუ არა ეს გავლენა ამ პატარა ქვეყნის მწერლის "მდგომარეობაში" და ჰქმნის თუ არა იგი სხვა ფაქტორებთან ერთად მის "შეგნებას"? რა თქმა უნდა, შეძლებს და ჰქმნის. პროფ. კეკელიძეს კი ჰგონია, რომ ადამიანის მდგომარეობა და შეგნება მარტოოდენ მისი ან მისი კლასის სმა-ჭამით ისაზღვრება.

ახლა გადავავლოთ თვალი დიდ თამარის ეპოქის ~~[illegible]~~ [illegible] ეკონომიურ პირობებს. მართალია, მაშინ ეკონომიური პირობები გაუმჯობესდა, მაგრამ ეს უმთავრესად მოხდა მექანიკურად, დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსული სიმდიდრით; ყოველ შემთხვევაში არავითარი რადიკალური ცვლილება ან, მით უმეტეს, რევოლუცია მაშინდელ ეკონომიკაში არ მომხდარა, რომ ამ ნიადაგზე შექმნილ ახალ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას პოეზიიდან გაეძევებია, მაგალითად, ის ელემენტარული პესიმიზმი, რომელიც გამოიხატება წუთისოფლის უკუღმართობის შესახებ გამოთქმულ სენტენციებში, და რომელიც ყველა დროის და ყველა სახეების მხატვრულ მწერლობას ახასიათებს, როგორც ამას ქვემოდ დავინახავთ.

პროფ. კეკელიძე ამ გამოკვლევაში იძლევა თამარისა და მისი ეპოქის წარმოუდგენელ იდეალიზაციას. თურმე "მეფროვანი" თამარის სახელი არა თუ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას ასხამდა ფრთებს, მას ისეთი პირობები შეუქმნია ამ ცოდვილ მიწაზე, "როდესაც ყველა თავს ბედნიერად სთვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა ჰმადლობდა თავის ბედს, ყველგან ისმოდა ქება თამარისა". მკვლევარი უკრიტიკოდ ივიწყებს ჟამთა აღმწერელის სიტყვებს, რომელიც ერთმანეთში ურევს ზღაპრებს და ნამდ-

ვილ ამბობს /ამის მაგალითი ბევრია "ქართლის ცხოვრებაში"/1/. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ერთ რამეში არ ეთანხმება მემატიანეს. მემატიანე ამბობს: "ამას შინა იხარებდეს და იშვებდეს ყოველნი"-ო; პროფ. კეკელიძე კი უსწორებს - ყველანი კი არა, მარტო თავად-აზნაურობაო. რომ თავად-აზნაურობა გლეხებზე უკეთ ცხოვრობდა, სჩაგრავდა მათ, ეს დღეს ყველამ ვიცით. მაგრამ მარტო ამის ცოდნა არა კმარა რთული სალიტერატურო პრობლემების გადასაწყვეტად. მაინც მკვლევარის ამ შენიშვნას აზრი ეკარგება, თუ გავიხსენებთ ზემოთ მოყვანილი ციტატის შინაარსს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის წარმომშობი მიზეზების შესახებ. საიდანაც სჩანს, რომ მშრომელი ახალგაზრდობაც სულ თამარზე გამოთქმულ ლექსებს მღეროდა თურმე. ერთი სიტყვით, ყველა დიდ ნეტარებაში ყოფილა. ასეთი ხანა კაცობრიობის ისტორიას მეორე არ უნახავს. როგორ ახერხებდა მაინც ეს ხალხი სულ მუდამ შვებას და ნეტარებას, ეს ხომ ფიზიოლოგიურადაც კი შეუძლებელია!; ხმა რომ ხმა არის, იმასაც მოეწყინება ხოლმე და თამარის დროინდელ ადამიანს რაღა დაემართა!

ამ მკვლევარისათვის ერთ დამახასიათებელ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. როდესაც პროფ. კეკელიძე აგვიწერს თამარის ეპოქაში დამკვიდრებულ სამოთხეს, ის ვერ ახერხებს გვერდი აუროს იმ დიდ პოლიტიკურ არევდარევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მეფობის პირველ ხანებში. ეს გარემოება მკვლევარს შენიშვნაში აქვს მოხსენებული /გვ. 159/ და დასძენს: "მაგრამ ამას ყველაფერს ადგილი ჰქონდა 1184-1192 წლებში, როდესაც ჩვენი პოემის ჩანასახიც კი არ იყო ვისიმეს თავში"-ო. ასე! ხედავთ ამ ამბავს?! განა პროფ. კეკელიძე მთელ თავის მონოგრაფიას იმისთვის არა სწერს, რომ დაგვიმტკიცოს "მეთორმეტე" საუკუნეში -თამარის დროს, როგორც უმრავლესობას ჰგონია დღეს "ეს პოემა არ დაიწერებოდა? აქ კი თეზისს პოსტულატად იყენებს და დასამტკიცებელს

---

1/ მკვლევარ ამ ჟამთა აღმწერელს თავის გამოკვლევაში ისტორიკოსს უწოდებს.-

დამტკიცებულად აცხადებს. როგორ უნდა მოქცეულიყო მკვლევარი როდე-საც მან შენიშნა, რომ თამარის მეფობის პირველ ხანებში იყო ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომ "პესიმისტურ ჰანგებს" გასავალი ექნებოდა? მას სხვა გზით, სხვა საშუალებით უნდა დაემტკი-ცებია, რომ არც ამ წლებში დაიწერებოდა ვეფხის-ტყაოსანი.

პროფ. კეკელიძე კი იმგვარად მსჯელობს, რომ ამ მეთოდით, არა თუ რუსთაველის საკუთარი დაბადების თარიღის გამორკვევაც კი არ შეიძლება.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორი გამოსუ-ლია უმაღლეს არისტოკრატიულ-ფეოდალური წრიდან და მისივე ამსახ-ველია; ის დეკლარაციულად აცხადებს:- "ერთი სიტყვით ლაშქრობა /მკვლევარს ლაშქრობა დიდი გასართობი ჰგონია/, ნადირობა, ბურ-თაობა, მიჯნურობა, ასპარეზობა, სადიობანი, ზმა მგოსანთა და მუშაითა - აი ყველაფერი ის, რამაც ჰპოულობდა გამოხატულებას საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ქართველი ერის იმ ზედაპირისა თამა-რის დროს, რომელიც ასახულია პოემაში და რომლიდანაც გამოსულია პოეტი" /გვ. 160/[1]; შემდეგ შენიშვნაში ვკითხულობთ:- "სახეში მყავს უმაღლესი არისტოკრატიულ-ფეოდალური წრე, რომელიც ასახუ-ლია პოემაში და რომლიდანაც გამოსულია პოეტი".

საიდან გაიგო ეს პროფ. კეკელიძემ, რატომ ჩვენც არ გვეტყ-ვის? ისტორიულად ეს სრულებით არ არის დამტკიცებული.

ხოლო ვეფხის-ტყაოსნის შინაარსიდან ამგვარ აზრს გამო-იტანს ისეთი გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც, ჰგონიეს რომ

---

1/ აი კიდევ იმის მაგალითი, თუ რამდენად ულოგიკოდ მსჯელობს პროფ. კეკელიძე ზოგჯერ და როგორ ეწინააღმდეგება ხოლმე თავის თავს:- ზე-მოთ მოყვანილ ციტატაში ის პირდაპირ აცხადებს, რომ პოემაში ა ს ა ხ უ ლ ი ა თამარის დროის ქართველი ერის ზედაპირი, ხოლო ორი გვერდის შემდეგ /162 გვ./ სწერს:- "მოსაკვირველია, თამარის ლაღი და აქტიური დროის ამსახველად ვერ ჩაითვლება ისეთი პოემა, სადაც ამგვარ აზრებს აქვს ადგილი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახავს სცენაზე. ქრონია თუ მისი ავტორიც პრინცი იყოთ.

მე უკვე გამომითქვამს ის აზრი და ახლაც ვიმეორებ /ამის ზეპირი გადმოცემაც ადასტურებს/, რომ რუსთაველი უმაღლესი არისტოკრატიულ-ფეოდალური წრიდან არ უნდა იყოს გამოსული. ძველად ასეთი წრიდან გამოსული პოეტები ლექსებს სწერდენ მაშინ, როდესაც სხვა საქმე შემოელეოდათ. რუსთაველი კი მთლად შეწირული უნდა ყოფილიყო ამ საქმისათვის, მას დიდი პოეტური კვიეტიზმი ახასიათებდა ალბად, რომელიც შეუთავსებელი იქნებოდა თამარის დროინდელი ფეოდალის მოვალეობასთან ომის დროს და ფუქსავატობასთან მშვიდობიან პირობებში. ამ მოსაზრებას კიდევ ის უნდა დაემატოს, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმდროინდელი პოეზიის ნიმუშებს, რუსთაველს ნამდვილი რევოლიუცია მოუხდენია მწიგნობრიულ - პოეტურ შემოქმედებაში:- მას გაუხალისებია

---

1/ რომ რუსთაველი უმაღლესი არისტოკრატიიდან იყო გამოსული, ამ შეხედულებას იცავენ პ.ინგოროყვა და ს.კაკაბაძის გამოკვლევანი, რომელთა შემცდარობა უკვე გამორკვეულია. კერძოდ ისინი ფიქრობენ, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორია ის ვიღაც შოთა, რომელსაც ქონვანის სიგელზე უწერია ხელი. მე ჩემს წიგნში "რუსთაველის გარშემო" /გვ.151-152/ ნათელ ვყავი, რომ ეს ხელმოწერა ეკუთვნის არა მწიგნობარს, არამედ წერა-კითხვის იოლად მცოდნე ფეოდალს. მეტი თვალსაჩინოებისათვის მე ამ ჟამად შევადგინე ერთი საინტერესო დიაგრამა. მე ავიღე სიგელიდან ოთხი სხვა და სხვა პირის ნაწერიობი მწიგნობრის, მდივნის და ქართლიკოსის, და ორიც არა მწიგნობრის, ჭიაბერისა და ამ ვიღაც შოთასი და გამოვიანგარიშე, რა მანძილს დაიჭერდა ყველა ამ ხელით დაწერილი პოემის ტექსტის პირველი ტაეპიდან აღებული ერთი მთელი სტრიქონი:- "მზე ჩაგვისვენდა მზესა ვსჭვრეტთ ლამისა ჩვენ უმჯობისა". და გამოვიდა, რომ ამ ვიღაც შოთას ხელით დაწერილ სტრიქონს ეჭირებოდა 2 1/2 ჯერ მეტი სიგრძე, ვიდრე მდივნის დაწერილს და ორჯერ მეტი, ვიდრე ქართლიკოსისაგან. ჭიაბერის სტრიქონი კიდევ უფრო გრძელი გამოვიდა, ვიდრე ამ შოთასი. როდესაც ეს მანძილები ერთი ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსნის ფურცლის ზომა ქაღალდზე გადავიტანე, აღმოჩნდა, რომ მწიგნობრების სტრიქონები დაეტეოდენ მის ნახევარზე, ხოლო არა-მწიგნობრების მთლად გადასცდიდა ფურცელს - ვიღაც შოთასი 4 1/2 სანტიმეტრით და ჭიაბერის 8 სანტიმეტრით. მაშასადამე, ასეთი ხელით ვეფხის-ტყაოსანი არ დაიწერებოდა.

ქაღალდი არ იყო მაშინ ამ ფორმატის, ხოლო, თუ ტყავის ეტრატზე იქნებოდა დაწერილი, ჩემის დაახლოვებითი ანგარიშით ვეფხის-ტყაოსნის ერთ ეკზემპლიარს დასჭირდებოდა 300-350 კრავის ტყავი! ამ დიაგრამის წინააღმდეგ კამათი არ შეიძლება - ის მთლიანად არღვევს ორ დიდ გამოკვლევას რუსთაველის გარშემო.-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაუმარჯვებდა ენა, დაუწევია ბუნებრივ ზომამდე მეხოტბეების გაბერილი სტილი და თან სინაზე და გარკვეულობა შეუტანია მხატვრულ სახეებში 1/.

ამასთანავე წარმოუდგენელია იმაზე უფრო რადიკალური მოაზროვნე მწერალი იმ ეპოქაში. ასეთ თვისებებს ვერ გამოიჩენდა უმაღლესი არისტოკრატიიდან გამოსული პოეტი მაშინ. ცხადია, რუსთაველი თავად-აზნაურული წრეებიდან იქნებოდა, მაგრამ თავად-აზნაურობას დიდი დახარისხება ჰქონდა, განსაკუთრებით საქართველოში / ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას ყველაზე უფრო ესპანეთი უნდა ჰგავდეს/. იყო ჩვენში თავადი, რომელიც მეორე თავადს თავის სუფრაზე არ დაუშვებდა, ეს დაწუნებული თავადი თავის მხრივ არ კადრულობდა წვრილ აზნაურებს, ხოლო ეს საბოლოოდ დაწუნებული წვრილი აზნაურები გლეხობის წინაშე გამოჩენილი წოდებრივი ყოყლოჩინობით იქარვებდენ გულს. მაგრამ მათი მატერიალური სიღატაკის ფონზე ეს ყოყლოჩინობა იღებდა კომიკურ ელფერს, და არსებითად მათ გაცილებით მეტი ჰქონდათ გლეხობასთან საერთო, ვიდრე არისტოკრატიის უმაღლეს ფენებთან.

საშუალო საუკუნეებში არსად, და მით უმეტეს საქართველოში გლეხობას შესაძლებლობა არა ჰქონია უ შ უ ა ლ ო მონაწილეობა მიეღო მწიგნობრულ შემოქმედებაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის საერთოდ არ იღებდა მასში მონაწილეობას. იგი თავის ნებისყოფას ძალაუნებურად ახვევდა თავზე წარჩინებული წოდებიდან გამოსულ მოღვაწეებს, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ ეს უკანასკნელნი ცოტად თუ ბევრად ახლოს მდგარიყვნენ მასთან.-

## III.

ახლა განვიხილოთ ის "პესიმისტური ჰანგები", რომლებიც პროფ. კეკელიძეს ვეფხის-ტყაოსანში აღმოუჩენია. საერთოდ პესიმიზმის შე-

---

1/ ამის მკრთალი ანალოგია შეიძლება მოინახოს ორბელიანებისა და აკაკი წერეთლის დაპირისპირებაში, მხოლოდ განსხვავება აქ გაცილებით უფრო ნაკლებია და შეეხება უმთავრესად ენას.

სახეზ ლიტერატურაში უნდა იტქვას შემდეგი:- მთელს მწერლობაში მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც განსაზღვრული პირობების ნიადაგზე ეგრეთწოდებული მსოფლიო სევდა წარმოიშვა, პესიმიზმი მეტად ელემენტარულ სახეს ატარებდა:- სიკვდილი, ავადმყოფობა, მეგობრის ღალატი, უარყოფილი სიყვარული, ცხოვრების ამაოება - აი ამგვარი შინაარსით იკვებებოდა იგი. სამაგიეროდ პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ამ შინაარსისათვის საუკეთესო ფორმა გამოექებნათ. რომ სიკვდილი, მაგალითად, მიწად აქცევს ადამიანს და ყოველივეს ათანასწორებს, ამას რუსთაველი გადმოგვცემს შემდეგი ფორმით:- "ვერ დაიჭირავს სიკვდილსა"... და სხ., ომარ ხეიამი ამის შესახებ ამბობს:- " მიწა, რომელიც უმეცარის ფეხქვეშ არის, თმებია ლამაზი ქალისა და საყვარელი ადამიანის სახე, ყოველი აგური, რომელიც შენობის კუთხეში მოსჩანს, ვეზირის თითია და თავი სულთანისა". შექსპირი დაახლოვებით შემდეგსა სწერს ამავე თემაზე:- "დიდი კეისარი მკვდარი და მიწად ქცეული,- ცოცხალი თისა დედამიწას აზანზარებდა, მკვდარი კი ბუხრის შესაგლესად უხმარნიათო". აქ სხვა და სხვა ფორმით ერთი და იმავე შინაარსია მოცემული. ასეთ აფორისტულ თქმებს /არამარტო ასეთს, რა თქმა უნდა/ ხალხი უწოდებდა სიბრძნეს; ყოველი პოეტი ცდილობდა გასწორებოდა ამ ბრძენ პოეტებს, მაგრამ ეს ათასში ერთსაც არ გამოსდიოდა. ამიტომ ამბობს არჩილ მეფე თეიმურაზის შესახებ თავის ცნობილ "გაბაასებაში"- "თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს"-ო. რუსთაველი კი ბრძენ პოეტად იყო მიჩნეული, მის შესახებ "გაბაასებაში" სწერია:- "ვის ლხინი აქვს-მას უზნობენ, ანუ ცული ვისაც უწუხს". ამგვარ მოტივებს რომის ოქროს ეპოქის პოეზიაშიაც კი აქვს ადგილი; ნუ ეწყინება ნურავის, თუ ვიტყვით, რომ ავგუსტის ეპოქას გულის ჯიბეში შეეძლო ჩაეწყო ის მატერიალური ავლა-დიდება, რომელიც თამარის დროს დაგროვდა ჩვენში. ეს უწყინარი და ყველასთვის უდაო მიზეზებით წარმოშობილი პესიმიზმი არასოდეს არ ყოფილა გამოწვეული მარტოოდენ ცუდი ეკონომიური პირობებით ან სულიერი დაცე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ საქართველოში სრული ნეტარება დამკვიდრებულა მაშინ" ყვე-ლა თავს ბედნიერად სთვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა ჰმადლობდა თავის ბედს, ყველგან ისმოდა ქება თამარის" /მკვლე-ვარის სიტყვები/.- ნუ თუ მაშინ ადგილი აღარ ჰქონდა არც სიკვ-დილს, არც კბილის ტკივილს, არც სურდოს, არცსხვა რაიმე ავად-მყოფობას? მე კი მგონია, თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანის ხასიათს, თამარის ეპოქაში ბევრი იძახდა ალბად:-"აჰ, რა დრო ყოფილა დავით აღმაშენებლის დროს!" წარსულის იდეალიზაცია ადა-მიანის ბუნების თვისებაა და ამიტომ, რომ ძალიან არ აჭარბებ-დეს, პროფესორ კეკელიძესაც ეპატიებოდა ეს ნაკლი. წარსულის იდეალიზაცია არ იცის მხოლოდ ბრძოლის ასპარეზზე ახლად გამო-სულმა კლასმა, მაგრამ როდესაც ის გაიმარჯვებს და შექმნის თავის საკუთარ ისტორიას, ადამიანის ბუნების ეს თვისება მას-შიაც იჩენს თავს.

თამარ მეფის დროს რომ ასეთი სამოთხე არ ყოფილა, ამას გვიჩვენებს თუნდაც დავით სოსლანის სიტყვები, რომლებსაც "ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ:- "მე ვთქვი განკვირვებ-ასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არის". აი როგორ გაუმწა-რებია იმდროინდელ თავადებს თავიანთი მეფე. ასეთი მძიმე ბრალ-დება რუსთაველს არსად არ წაუყენებია ადამიანისათვის თავის პოემაში. ამ სიტყვებზე დამყარებით პროფ. კეკელიძე იმის დამტ-კიცებასაც მოახერხებს, რომ დავით სოსლანი და თამარიც აგრეთ-ვე, როგორც მისი მეუღლე, მონოზონების შემოსვის შემდეგ სცხოვ-რობდენ. მაგრამ პროფ. კეკელიძეს შეეძლოა გვიპასუხოს, ეს სიტყ-ვები დავით სოსლანმა 1192 წლამდე სთქვაო. სწორედ ასეთ სასა-ცილო დაწვრილმანებამდე მიიყვანა მან თავისი კვლევა-ძიება.

თვით ეს პესიმიზმი პროფ. კეკელიძეს ძალიან თავისებურად

ქსმის. როგორც "პესიმისტური ჰანგების" ნიმუში პოემაში, მას უწინარეს ყოვლისა მოჰყავს როსტევანის ჩივილი ბედისადმი უც-ხო ყმის გადაკარგვის გამო. როსტევანი და პესიმიზმი! ეს რომ პესიმიზმი იყოს, მაშინ ვინმე ჩვენებური მაკრინე ან პელაგია რომელიც სულ მუხლებზე იწყვამს ხელს და იძახის:- "ვაი ჩემი ბრალი, რაღა მეშველება, გამიმწარდა სიცოცხლე", შესაძლებე-ლია შოპენჰაუერზე უფრო დიდ პესიმისტად ჩაგვეთვალა. ცხადზე უცხადესია, რომ პესიმიზმად არ ჩაითვლება აგრეთვე ტარიელის და ავთანდილის სამიჯნურო გოდება. დარჩა სულ რამდენიმე აფო-რიზმი ან უბრალო სენტენცია სიკვდილისა და ცხოვრების მუხა-ნათობის შესახებ, რომელიც იფარება პოემაში სიცილით, კვირ-თა ჩენით და ელვათა ფენით.

გარდა ამისა, პესიმიზმი და ოპტიმიზმი არ გახლავთ ისეთი გარეგანი ნიშანი, რომ მისი მიხედვით აგრე ადვილად შეიძლებო-დეს ნაწარმოები ამა თუ იმ ეპოქას მივაკუთნოთ. შესაძლებელია ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე ტარიალალი ისმოდეს, მაგრამ ის მაინც სულიერი დაცემულობის მაჩვენებელი იყოს. ნაღველიც არის და ნაღველიც, სიხარულიც არის და სიხარულიც. ლიტერატურის მკვლევარმა უნდა შესძლოს გაარჩიოს ერთი მეორისაგან, შექსპი-რის ნაღველი და ნაღველი ნადსონის, გოეთეს სიხარული და სიხარული იგორ სევერიანინის. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ შექ-სპირის ნაღველი ან გოეთეს სიხარული ზეადამიანურია და ციდან ჩამოსული, არა. მაგრამ უეჭველია, რომ პატარა მწერლის გრძნო-ბათა გამომწვევი მიზეზები ვიწრო წრით იფარგლება, ხოლო დიდი მწერალი, სხვათა შორის, იმითაც არის დიდი, რომ მის შემოქმე-დებაში ხმაურობს საუკუნეები და მასში თვალსა სჭრის მრავალ-გვარ იდეათა გამოხმაურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასასრული. საჭიროა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომლის მსგავსი პროფ. კეკელიძეს უკვე რამდენჯერმე შეემთხვა. პოემიდან მის მიერ მოყვანილი "პესიმისტური ჰანგების" დამახასიათებელ ნიმუშებში ჩვენ ვხედავთ ცნობილ ლექსს "ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ"... 1927 წელს პროფ. კეკელიძემ ეს ლექსი საქვეყნოდ გამოაცხადა ყალბად /"მნათობი", 1927 წ., № 2 გვ. 196/. მე პასუხი გავეცი მას ჩემს წიგნში "რუსთაველის გარშემო", სადაც ამ გრანდიოზული ლექსის განხილვას და ჩემს გულისწყრომას სამი გვერდი /99-101/ დაუთმე. ახლა გამომდგარა და ამ ლექსს თავისი აზრის დასამტკიცებლად იყენებს, როგორც ვეფხის-ტყაოსნის ავტორის მიერ დაწერილს. რასა ჰქვია და რა არის ეს?! გულმავიწყობა? გულმავიწყობის მსხვერპლად კაცს შეუძლია თავისი საკუთარი ნივთები გასაღოს და არა საქვეყნო განძი, და მერმე ისიც როგორი!

"პესიმისტური ჰანგების" გარდა პროფ. კეკელიძეს ვეფხის-ტყაოსანში დაუნახავს აგრეთვე "პირწავარდნილი ფატალიზმი, რომელიც პასიურობამდეა დაყვანილი პოემაში" და რომელიც შეუძლებელია "შეუთანხმოთ ასეთ საქმიანობას, მოქმედებას და რწმენას თამარის დროისას". ამ საქმიანობისა და მოქმედების დასახასიათებლად მოჰყავს მემატიანეს სიტყვები, რომ ქართველები იმ დროს იბრძოდნენ "მკლავითა ქრისტეანითა" და რომ "უსწრებდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი ყმასა და ყმა პატრონსა". აი თურმე რა მომხიბლავი სანახაობა და გასართობი ყოფილა თამარის დროს ომი! თურმე დიდი და პატარა, პატრონი და ყმა ერთმანეთს უსწრებდნენ, როგორც კი გაიგებდნენ ომია სადმე. ლიტერატურული კრიტიკის მარქსისტული მეთოდების გამმარჯვებელმა უნდა იცოდეს, რომ ომს ყოველთვის უბედურებად სთვლიან დაჩაგრული კლასები. მკვლევარი კი მემატიანის აი ასეთ ფრაზებს მეცნიე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მულობით. ეს იყო ძველი ტრადიცია. ჩვით სოლომონ მეფე დასცინო-და სოფლის ამაოებას. სიცოცხლით სავსე იტალიური რენესანსის მამამთავარი პეტრარკა, რომელსაც არავითარი ბედნიერება ცხოვრებაში არ მოკლებია, თავის მონაწერში ერთერთ მანუსკრიპტზე ცხოვრებას ადარებს სოდომს და ამბობს, რომ ის არ ინანებს მის მოშორებას. ერთ თავის სონეტს ის ასე იწყებს დაახლოებით:- "რაც უფრო ახლოვდება დღე მიწასთან განშორებისა,- საზღვარი სევდის, რომელიც სიცოცხლეში გვტანჯავდა, მით უფრო მეტად ვგრძნობ დაღლილი სულით, რომ არა ღირდა ცხოვრება ამ ქვეყანაზე". და შემდეგ კიდევ უფრო მწარედ უჩივის სიცოცხლეს. რა აკლდა პეტრარკას - შიოდა თუ სწყუროდა? ან ეგებ იმის ეპოქა სულიერ დაცემულობას განიცდიდა? შექსპირმა ნაღველით გაავსო მომდევნო საუკუნეები, მაგრამ ის ცხოვრობდა ელისაბედ დედოფლის დროს, რომელსაც დიდმა ბრიტანეთმა უბრწყინვალესი მდგომარეობა მოიპოვა. მაშინ დიდი წარმატება ხვდა წილადსწავლა-განათლებას, ვაჭრობას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობა პირდაპირ აჰყვავდა /თუმცა ამას ხელი შეუწყო, რა თქმა უნდა, არა "მთერთვანი" - ელისაბედის სახელმა/. არც ბაირონის გართულებული პესიმიზმი აიხსნება იმდროინდელი ინგლისის ეკონომიური პირობებით; უნდა ვიფიქროთ, რომ ის ლორდები, რომელთა წრიდანაც გამოვიდა ბაირონი უფრო მეტ ფუფუნებაში იყვნენ, ვიდრე ქართველი თავადები, თუნდაც თამარის ეპოქაში. ინგლისმა გაანადგურა ნაპოლეონის იმპერია და თვით გახდა მსოფლიო ჰეგემონი. ორი წლის შემდეგ კი ბაირონი წერს თავის "მანფრედში" ცნობილ მონოლოგს:-

შიშის და დროის სათამაშო კარტ ჩვენ ყველანი;
დღენი მიდიან და დღეები მიდიან ისევ...

უშუალო ეკონომიური პირობები აქ არაფერ შუაშია, მაგრამ მარქსისტულ კრიტიკას შეუძლია ამ სევდის მიზეზთა გამოყვანა სავსებით მატერიალისტური საწყისებიდან.

მაინც ვიკითხოთ კიდევ, რა იყო ეს თამარის დრო ისეთი,

რელიგიურ-ძიებათ ასპექტს იმ ქვეყანაში, სადაც მარქსიზმი, ისტორიის მატერიალისტური გაგება და კლასთა ბრძოლის საკითხები სწავლა-განათლების ქვაკუთხედად არის მიჩნეული. ფატალიზმის შესახებ პროფ. კეკელიძე აღნიშნავს ფრიად არსებულ აზრს, რომ ის ნებისყოფას ადუნებს, და ჰგონია, თუ ყოველ ეპოქაში და ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს ფატალიზმის საშუალებით სხვა არაფერი გაკეთებულა, თუ არა ნებისყოფის მოდუნება და მისი "პასიურობამდე დაყვანა".

არაფერი არ იყო თამარის სამეფო იმ დროინდელ სახელმწიფოსთან შედარებით, რომელიც შექმნა არაბეთმა – ისლამის აკვანმა. ისლამმა ფატალიზმი გამოიყენა არა ნებისყოფის მოსადუნებლად, არამედ ხალხის დასარაზმავებლად. მუსლიმანი მეომარი მსჯელობდა ასე: "თუ სიკვდილი მიწერია, მე ვერ მიხსნის უკან დახევა, გაქცევა, დამალვა, ამიტომ ემჯობინება ვეკვეთო მტერს და შევაკლა თავი, რათა დავიმკვიდრო საუკუნო დიდება და საიქიო სასუფეველი;

ხოლო თუ მე სიკვდილი არ მიწერია, ცეცხლსა და ქვიშაშიც რომ ჩავვარდე, მაინც გადავრჩები, ამიტომ-წინ! და ისიც მიდიოდა წინ რელიგიის ამ საწამლავით გაბრუებული, იპყრობდა ქრისტიანულ აზიას, ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს, მუსრს ავლებდა მრავალ ძლიერ სახელმწიფოებს და ქმნიდა გმირობის ისეთ სასწაულებს იჩენდა, რომლის ბადალი იშვიათად მოიპოვება სხვა ხალხების ისტორიაში.

ფატალიზმი არ არის მუსლიმანური რელიგიის მიერ მოგონილი ამბავი, მან მხოლოდ გამოიყენა იგი. ფატალიზმს ყოველ ხალხში დიდი გასავალი ჰქონდა და აქვს დღესაც. ფატალიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული ძველი ასტროლოგია, რომელიც ადამიანებისა და ქვეყნების ბედისწერას ვარსკვლავებზე ჰკითხულობდა;

მრავლად ფატალისტურია კომეტისა და პირველივეს მხილველე-

მელობა: ბერძნული ტრაგედიის მამოძრავებელი ძალა არის ბედისწერა: ცანგეს "ჯაჭვაბედის" მეშვიდე ქება სულ ბედისწერას შეეხება. არა თუ პოეტები, ძველად მეცნიერებიც კი იყვნენ ფატალისტები. აი "ისტორიის მამის" ჰეროდოტეს სიტყვები:- "განიშნული ხვედრის თავიდან აცდენა ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ", "ის, რაც უნდა მოხდეს, გარდაუვალია". არა თუ ძველად, ამ ჟამადაც ისე დღე არ გავა, რომ ყოველმა ჩვენგანმა არა სთქვას:- "რაც იქნება-იქნება", "რაც მოხდეს -მოხდეს", - ასეთი ენით მეტყველებს ფატალიზმი ხალხში. მაშ რაღა გასაკვირია, რომ ვეფხის-ტყაოსანში ფატალიზმი სჩანდეს შიგა და შიგ? მაგრამ საიდან მოიგონა პროფ. კეკელიძემ, რომ იგი პოემაში "პასიურობამდე დაყვანილი?"- განა ავთანდილი პასიურია, რაკი ამბობს "არვის ძალ უც სოფელსა განგებისა გარდავლენაი"? ვით ის სტრიქონი პროფ. კეკელიძეს არ მოჰყავს რიგიანად, იგი დასკვნა არის ენერგიის ასახვა წინა სტრიქონის:-"წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა". ამგვარადვე აგებული ტაეპის ორი პირველი სტრიქონი: "არას გვარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა", რადგან "არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა"-ო. ბოლოს და ბოლოს საკითხავი ხდება, თუ ვისთვისა სწერს პროფ. კეკელიძე თავის "გამოკვლევებს" ვეფხის-ტყაოსანზე, ვინა ჰყავს მას, როგორც მკითხველი, მხედველობაში? ალბად ის, ვისაც ეს პოემა არა თუ არ წაუკითხავს, მისი შინაარსიც კი არ გაუგონია, თორემ როგორ აბედავს ის იმის მტკიცებას საქვეყნოდ, თითქო ფატალიზმი ვეფხის-ტყაოსანში პასიურობამდე იყოს დაყვანილი, მაშინ როდესაც მისი გმირები დედამიწას ჰგლეჯენ და გაკაჟებული გულით, გასაოცრებული ნებისყოფით, წლობით იბრძვიან თავისი მიზნების მისაღწევად და, ერით აუწერელ დაბრკოლებების გარდალახვის შემდეგ, როდემდე აღწევენ მას? ეს არის პასიურობა? ეს არის ნების-

ყოფის მიღწევა?პოემის სხვა და სხვა ადგილიდან ცდანქამ ამ-ბლეჯილი რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მკვლევარს მოჰყავს პოემის სიტყვები:-

კაცთ.ძალსა ნუ იქადი.ნურცა მოჰკვეხ.ვითა მთვრალი.

არას გარგებს ძლიერება.თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი.-

და დასძენს:-"რასაკვირველია, თამარის ლაღი და აქტიური ბრძოლის ამსახველად ვერ ჩაითვლება ისეთი პოემა, სადაც ამგვარ აზრებს აქვს ადგილი". ამ სიტყვებში პროფ. კეკელიძე თამარის ისტო-რიის წარმოუდგენელ გადაკეთებას იძლევა. კიდევ კარგი, რომ ქვე-ყანაზე "ქართლის ცხოვრების" გარდა ის ერთი ეკზემპლიარი არ დარჩენილა, რომელიც იმის განკარგულებაშია, თორემ ჩვენი ძვე-ლი ისტორია ყირამალა იქნებოდა დაყენებული.

მეორე "ქართლის ცხოვრება" მეც მაქვს. აი რა სწერია ჩემს "ქა-რთლის ცხოვრებაში":- მტერზე იმის წინ თამარი მიმართავს თავის ლაშქარს:- "ძმანო ღმერთსა მიენდვენით, და გულნი თქვენნი სი-მართლით იპყრენით წინაშე მისსა, და სასოება თქვენი ყოვლით ჯვარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქვეყნად მა-თად. შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისათა და ძალი-თა ცხოველისა ჯვარისათა, წარემართენით". შემდეგ ამისა თამარი ფეხშიშველი ავიდა მეტეხის ტაძარში და "არა დასცხრე-ბოდა ცრემლით ვედრებად კვირემდის სრულ ყო ღმერთმან სათხოვ-ნელნი მისნი". მერე ადგილას შემაკიაზე შემდეგსა სწერს თამა-რის შესახებ:- "ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, ვინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ. რამეთუ ღმრთისა დიდსალაი ადუმანედებოდა: ლოცვანი და დამის-თევანი, რომელნი პალატ-სა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საქმეთ მისნი მეუდაბნოეთაგან-ცა". ასეთი იყო თამარი, ხოლო თამარი კი ცენტრალური პიროვნება და სახეში იყო თავისა ეპოქის. უაღრესად მორწმუნე, იგი იმედო-

ვნებდა, რომ მკერდზე გამარჯვებას მოიპოვებდა ღვთის შეწევნით და არა მარტო "მკლავითა ძლიერებიანითა", როგორც ეს პროფ. კეკელიძეს ეჩვენება ან უნდა რომ მოგვაჩვენოს. ამგვარად, ზემო-მოყვანილი სიტყვები ვეფხის-ტყაოსნიდან არა თუ შეეფერება თა-მარის "ლაშა და აქციერ დრის", უპირესად დამახასიათებელია მისთვის. თამარს რომ თავისი მსოფლმხედველობის გამომხატველი დევიზის არჩევა მოესურვებია, ის სწორედ ამ სიტყვებს აირჩევ-და:-

"არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი".

## IV.

ამის შემდეგ პროფ. კეკელიძის ახალ გამოკვლევაში მეტად მხიარული ამბები იწყება. მას მიუკვლევია, რომ ვეფხის-ტყა-ოსანში ასახულია ერთერთი მუსლიმანური სექტა – მულიდები ანუ ასასინები. მკვლევარი ვრცლად აგვიწერს მულიდების ხასიათსა და ზნე-ჩვეულებას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს იმდე-ნადვე შეეხება ვეფხის-ტყაოსანს, რამდენადაც, მაგალითად, "რიგვედას" ან "დაბადებას". პოემის ამ ძველი ტიპის მკვლევა-რებს ხშირად ემართებათ ეს ამბავი. ყოველ მათგანს ჰყავს თავი-სი მერანი, რომელსაც იგი კვლევის დროს მოახტება ხოლმე და მო-ლახავს ისტორიას; თან მოჰყავს საკვირველ ამბებს და ქრონიკო-ნებს ის მიაბამს წვრილი აბლაბუდას ძაფით პოემის რომელიმე სტრიქონს. საკმაოა სულის ერთი შებერვა და ძაფი წყდება – მო-ტანილი ამბები ცალკე რჩება, ვეფხის-ტყაოსანი ცალკე. ამ შემ-თხვევაში პოემის სტრიქონი, რომელზედაც აბლაბუდას ძაფით მი-მაგრებულია მულიდ-ასასინების ისტორია, გახლავთ – სტრიქონი:-

"მან გრძნეულმან მული რამე წამოისხა ზედან განსა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარი ფიქრობს, რომ პოემაში მოლიდები გამოყვანილია ქაჯების სახით. ამ სკრიპტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო, თურმე არა "მოლი", არამედ "მოლიდ", მაგრამ ეს შეცვლა მოახდინეს "შემდეგი დროის უვიცმა გადამწერლებმა, რომელთაც ვერც "მოლიდ" სიტყვის მნიშვნელობა შეიგნეს, ვერც მისი შემცველი ტაეპის კონსტრუქციას აუღეს ალღო". ვინ უკეთ იცნობდა ვეფხისტყაოსანს, მისი ძველი გადამწერლები და უკრეცენზიო მკითხველები, თუ პოემის ზოგიერთი ახლანდელი ნაფიცი მკვლევარი. ამას აქვე ქვემოთ დავინახავთ. ჯერ კი ამ "გასწორების" გარშემო ვილაპარაკოთ, რომლის შესახებ წერილის პირველ თავში ჩემი მოსაზრების ნაწილი გამოვსთქვი. პოეზიაში ცნობილია საგნის ან მოვლენის გ ა უ ც ნ ა უ რ ე ბ ი ს ხ ე რ ხ ი. რუსთაველი მიმართავს ხოლმე ასეთ ხერხს /გაუცნაურებულია, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის ხიბე, რომელიც მას ცარიელმა მოუტანა ხატაეთიდან/; აქაც იგივე ხერხია მოცემული:- რომ ეს თილისმური მოსასხამი, რომლის საშუალებით ქაჯმანის მონა ქაჯეთს გაფრინდება, ჩვეულებრივ ნაბადს არ ჰგავდეს, რადგან ჩვეულებრივი ნაბადი სხვებსაც ესხა, მაგრამ კი არ ფრენდნენ. რუსთაველი ამბობს, რომ ქრქნეულმა ტანზე მოისხა მოლი, ესე იგი რაღაც ნაბადის მაგვარი, რომელსაც ბეწვების ნაცვლად ასხმული ჰქონდა მწვანე ბალახი. პროფ. კეკელიძეს შეუჯერებია ლექსიკონები, და ასე გასინჯეთ, სპარსულ-არაბული ენაც, იმის გამოსარკვევად, ნიშნავს თუ არა მოლი მოსასხამს, ნაბადს. რა თქმა უნდა, სიტყვა "მოლი"-ს ასეთი განმარტება მას ვერ მოუნახავს. ამას ემგვანებოდა, მაგალითად, რომელიმე მკვლევარმა რომ წაიკითხოს სადმე, დიდხუთშაბათს კუდიანები ცოცხებზე შესხდებიან და მთაზე მიჰფრენენ ერთმანეთის შესახვედრად, და დაიწყოს ლექსიკო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებში ძებნა, არის თუ არა ციცხი გადასაზიდი საშუალება. შე-
საჯდომი რამ. ცხადია, სადაც კი სიტყვა "ციცხი" იქნება განმარ-
ტებული, იქ ეწერება, რომ ეს არის მხედრის დასაჯდელი ნივთი.
ისე როგორც საბა სულხან ორბელიანს სიტყვა მოლი განმარტებული
აქვს მწვანე ბალახის მნიშვნელობით. აქ ამ სიტყვის მარტივი და
პირდაპირი აზრით გაგებაზე პროფ. კეკელიძე უარს ამბობს და ბოი-
ლისებურად შენიშნავს:- "ნარგანაც ბალახის, მით უფრო მინდორის
- წამოსხმა განზე ქაჯსაც არ შეეძლოა"-ო. მწვანე ბალახის მოსა-
ხსამი არა თუ ქაჯს, ყოველ ბავშვს შეეძლია გააკეთოს /წარმოიდ-
გინეთ, კიდევაც აკეთებენ, როგორც სათამაშოს/. ამისათვის საჭი-
როა მწვანე ბალახის პატარ-პატარა კონებად შეკვრა და მათი ერთ-
მანეთზე გადაბმა:- რა თქმა უნდა ფატმანის გრძნეული მონა ამას
უკეთ გააკეთებდა. ასეთივე ხასიათისაა მკვლევარის მეორე შენი-
შვნაც ამის შესახებ, იგი წერს:- "მოლი არ შეიძლება წამოსას-
ხამს ნიშნავდეს და ისიც მწვანე ფერისას, ვინაიდან ფატმანის
ქაჯი, პოეტის ტერმინებით, არის ყოველთვის და ყველგან "შავი",
"შავი შართ კიდა ცირანი", "ზანგი პირშავი". რა შუაშია აქ მო-
სასხამის მწვანე ფერი? ადამიანის ფერზე მსჯელობენ მისი დაუ-
ფარავი ნაწილების - სახის და ხელების - მიხედვით, ტანის ფე-
რის შესახებ კი ლაპარაკი იციან სამხრეთ კურორტებზე. ზანგებს
ამ ჟამად აფრიკაში განათლებული რესპუბლიკა აქვთ, და იქ, რო-
გორც ცივილ ქვეყანაში, ისინი ხშირად თეთრ ტანისამოსს იცვამენ,
მაგრამ არავინ ამის გამო იმათ თეთრად არა სთვლის. დასასრულ
უნდა აღინიშნოს, როგორც მთავარი გარემოება, რომ ეს მონა არის
ზანგი და არა ქაჯი, ისეთივე ზანგი, როგორიც იყო თინათინის მო-
ნა არაბეთში /"შემოვიდა ...მონა ზანგი"/. მხოლოდ ფატმანის
ზანგს ჰქონია გრძნეულება; პროფ. კეკელიძე კი ცდილობს ის გაა-
საღოს ქაჯად, რადგან, მისი აზრით, მოლიდებად გამოყვანილი

არიან პოემაში ქაჯები. მკვლევარი აქ უკვე აღარაფერს არ ერიდე-ბა, ის ვაკეზეც კი მიუთითებს /ი. აბ. გამოც. 1099/, საიდანაც სჩანს კიდეც, რომ ეს მთან არის ქაჯი. არაფერი ამის მაგვარი ამ ვაკეიდან არა სჩანს. რუსთაველი ამ მონას ადგილ მაინც ასა-ხელებს, მაგრამ ის წოდებულია ან ზანგად, ან მონად, ან კიდევ ნაცვალ სახელითაა მოხსენებული. პროფ. კეკელიძეს აუარებელი ცი-ტატები აქვს მოყვანილი ვეფხის-ტყაოსნიდან ამ წერილში და ასეთ დიდმნიშვნელოვან ადგილს როგორ არ მოიყვანდა რომ იმ ვაკეიდან რაიმე ამის მსგავსი სჩანდეს, - ის მხოლოდ მოკლედ აღნიშნავს ფრჩხილებში მის ნომერს.

პროფ. კეკელიძე სხვა მიმართულებითაც ეძებს პოემაში მოლი-დების ასახვის ნიშნებს. ასასინ-მოლიდები მეტად მუხანათი ხალხი ყოფილა, მკვლევარი სწერს მათ შესახებ:- "ისინი შეუმჩნევლად, როგორც ჰქვიათ, შეეპარებოდენ ხოლმე ღამით დასაძინებელ ოთახში თავის მოპირდაპირეს და წუთისოფელს გამოასალმებდენ მათ"-ო. ამის გამო პროფ. კეკელიძე ხვარაზმელი სასიძოსა და ჩაჩნაგირის მოკვლას ტარიელისა და ავთანდილის მიერ ხსნის, როგორც მოლიდთა ხასიათის გამომჟღავნებას. მერამ ბოროტად განწყობილი მოლიდები თავიანთ მუსლიმანური რელიგიის მოთხოვნილებებს არ ასრულებდენ თუ-რმე, სიცრუე მათი ერთერთი იარაღი ყოფილა, ამიტომ მოლიდობაში აქვს ავთანდილს ჩამორთმეული ის გარემოება, რომ, როდესაც იგი ტარიელის საძებნელად მიდის არაბეთიდან, როსტევანს ატყუებს, საომრად მივდივარო, და ისიც აგრეთვე, რომ ავთანდილი გულან-შაროს ქალაქში ვაჭრულად გადაცმული შედის. თუ ყოველივე ეს მო-ლიდობას მოასწავებს, მაშინ კომედიის გმირი, თვალთმაქცი ტრისი, მოლიდების ნამდვილი მამამთავარი ყოფილა. მოლიდი ყოფილა როსტო-მი "შაჰ-ნამეს" გმირი, რომელმაც მოტყუებით ვერაგულად მოკლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისი შვილი ბუნება. ვინ მოსთვლის, თუ რამდენ სიცრუეს და მუ-ხანათურ მკვლელობასა აქვს ადგილი, როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე თვით ცხოვრებაში, მაშ ყველა ამის ჩამდენი მოლიდები ყოფილან.

თუ რამდენად მოუფიქრებელია პროფ. კეკელიძის შეხედულება ამ საკითხის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგიდანაც ჩანს. როგორც აღვნიშნე, მისი აზრით, ვეფხის-ტყაოსანში მოლიდებად გამოყვანილი არიან ქაჯები, თუ ეს ასეა, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ რუსთაველს მეტად ცუდი შეხედულება ქონია მოლიდებზე. მაშინ მან ამ მოლიდების თვისებები რაღა მაინც და მაინც თავის უძვირფა-სეს გმირებს ტარიელსა და ავთანდილს მიაწერა, რატომ, პირიქით, ხვარაზმელი სასიძო და ჩაშნაგირი არ დააჯილდოვა ამ თვისებებით?

მაგრამ მივყვეთ პროფესორის კვლევა-ძიების კვალს. პოემაში კიდევ ყოფილა ერთი მოლიდი. იგი სწერს:- "ისლამის ერთერთი მთა-ვარი მოთხოვნილება არის ქველმოქმედება, მოწყალების გაცემა, სიუ-ხვე, ღარიბთა, გლახაკთა და ობოლთა შეწყალება" /თითქოს ქრისტია-ნობა კი უარყოფდეს ყოველივე ამას/. "მაგრამ ვეზირი მეფისა სოგ-რატი, - შენიშნავს მკვლევარი, - არ თანაუგრძნობს ამ პრინციპს, ის უარისმყოფელია მისი; მართლაც, შენიშნა რა დაღრეჯა და მოწყენი-ლობა მეფისა, ის მივიდა და უთხრა:-

"დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!
მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო:-
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხვირიო.
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უზრდე ქირიო!"

ეს ადგილი რომ წავიკითხე პროფ. კეკელიძის წერილში, ხმამა-ღლა გამეცინა. საქმე აი რაშია:- სოგრატი აქ ეხუმრება მეფეს, ხოლო პროფ. კეკელიძეს კი ჰგონებია, რომ ის ქველმოქმედების წინა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აუმღერია, და მერე ისიც როგორი - "პრინციპიალური"!
საბრალო ვეფხის-ტყაოსანი და მისი ავტორი!

საჭირო არ არის ჭკვა და მოძღვრობით გამოწვრთნილი კრიტიკის მოყვანა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს ხუმრო-ბასთან, რომელიც ავთანდილმა და სოგრატმა მოაწყვეს /"ეკადრით რამე სალაღობო..."/. ჩემი გაოცება აქ მკვლევარის გაუგებრობით იმდენად დიდი იყო, რომ ერთი საინტერესო ცდა მოვაწყვე, რომლის გადმოცემა აქ ზედმეტი არ იქნება. მე დავსვი ასეთი კითხვა:- ნუ თუ სოგრატის ამ უბრალო ხუმრობას ვერ გაიგებს თუნდაც სრულიად უსწავლელი ადამიანი, თუ კი ის ვეფხის-ტყაოსანს იცნობს? ავდე-ქი და გავუგზავნე შორეულ სოფელში, ერთ მოხუც ქალს, რომელსაც არასოდეს სკოლაში ფეხი არ შეუდგამს, მაგრამ ზეპირად იცის ვე-ფხის-ტყაოსანის მთელი თავები, წერილი, რომელშიაც განვუმარტე გამოკვეთქი სოგრატის ამგვარი სიტყვების გამო და ვთხოვე ეცნო-ბებინა თავისი აზრი, როგორც უსწავლელ ადამიანს; თანაც დავსძი-ნე, რომ ამის შესახებ კამათი მაქვს ამხანაგებთან. მოხუცმა ვრცლად მიპასუხა, საკმაოდ გაოცებულმა, რომ მისი აზრის გაგე-ბა დამჭირდა ამის გამო.

აქ გაუგებრობ... იმდენად დიდ იყო, რომ გამოცდისათვის შე-ვეკითხე რამდენიმე უპრეტენზიო მკითხველს, თუ როგორ ესმის მათ სოგრატის ზემოთ მოყვანილი სიტყვები; ყველამ მიპასუხა, რომ ეს არის გახუმრება დაღონებულ მეფესთან, მის გასამხიარულებლად. თუ ყოველი ხუმრობა ვეფხის-ტყაოსანში სერიოზულ ნათქვამად მივი-ღეთ, მაშინ ეს შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ პროფ. კეკელიძის ყურადღებას გამორჩენია პოემის ერთი საინ-ტერესო ადგილი, რომლიდანაც აშკარად სჩანს აგრეთვე მესამე ძმადნაფიცის მოლიდობაც. მხედველობაში მაქვს ის შემთხვევა, როდესაც ტარიელმა და ავთანდილმა ფრიდონის მეჯინიბეებს მისცეს

ხუმრობით კოცი, რის გამო ფრიდონი მას ჯარით დაედევნა უკან, ხოლო ერთბაშად მისკენ მეკრიალებულმა მეგობრებმა კი შეუძახეს:- "ვერად აქი მასპინძელი მოგვევება იმად წინა!" ამ სიტყვებზე დამყარებით მკვლევარს შეეძლო დაემტკიცებია ფრიდონის მოლიდობა; ის იმსჯელებდა დაახლოებით ასე:- "ისლამის მთავარი მოთხოვნილებაა სჯუმართმოყვარეობა, პოემის ზოგიერთი გმირები კიდევაც ასრულებენ ამას, მაგრამ ფრიდონი უარისმყოფელია ამ პრინციპის"... და თან მოიყვანდა ტარიელისა და ავთანდილის ზემოხსენებულ შეძახილს. ამას დაუმატებდა კიდევ იმ ადგილს, სადაც ქაჯეთის ციხეზე თავდასხმის წინ ფრიდონი უბნება ტარიელს:- ცხენი რომ გიძღვენი არ კიდეო, თუ ქაჯეთზე გადამყრება დაგქორდებოდა, "თავსა ყოლე არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა", და საქმე გათავებული იქნებოდა. ახლა ხომ დარწმუნდებიან პროფ. კეკელიძე და მისი ციპის მკვლევარები, რომ ალფხის-წყალსანი იმათზე უკეთ ესმოდათ ძველად არა თუ მათ მიერ ყბად აღებულ გადამწერლებს, არამედ სრულიად უბრალო, უპრეტენზიო მკითხველებსაც კი?

პროფ. კეკელიძე განაგრძობს მოლიდთა თვისებების აღმოჩენას პოემის მთავარი გმირების ხასიათში. იგი სწერს:- "ისლამის მოთხოვნილებაა სიმართლე და გულწრფელობა". ჯერ ერთი ეს კითხვით, რომელი სარწმუნოების ან საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნილება არ არის სიმართლე და გულწრფელობა, ან ფარისევლურად, ან გულწრფელად? ამას ემგვანებოდა რომელიმე უცხო ქვეყნიდან მოსულმა მოგზაურმა რომ დასწეროს, ვნახე რაღაც საკვირველი ქვეყანა, სადაც ყოველ კაცს ჰქონდა ორი თვალი და ერთი ცხვირით.

ისლამის ამ არაჩვეულებრივი თვისების აღნიშვნის შემდეგ მკვლევარი იწყებს პოემაში იმის ძებნას, თუ რომელმა გმირმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად უღალატა სიმართლესა და გულწრფელობას. ავთანდილისადმი წაყენებული ბრალდება როსტევანის მოტყუებისა და გულანშარის ქალაქში ვაჭრული განსაცმელით შესვლის შესახებ უკვე განვიხილეთ ზემოთ. ტარიელს კი ასეთი ბრალი ედება:-"ტარიელი, რომელიც გაგიჟებულია ნესტან-დარეჯანის სიყვარულით, თანახმად მისი კარნახისა, ფარსადანს უთხრის:

მე თქვენმან მზემან მათრის ნდომა თქვენისა ქალისა,
შენი ქალი/არას მინდა, გაათხოვე, გამარიდე".

ამგვარად, სიმართლის და გულწრფელობის ღალატად გაუგია შოთას. ჰეკელიძეს უშესანიშნავი ადგილი ვეფხის-ტყაოსანში, სადაც ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის შემდეგ გაძევებული და გულდაკოდებული ტარიელი – ინდოეთის ტახტის ეს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე – გადაუდგება ფარსადანს და ლაშქარს იწვევს თავისი სიცოცხლისა და უფლებების დასაცავად. მან, როგორც ამას პოლიტიკური მომენტი მოითხოვდა, სასიძოს მოკვლისა და აჯანყების მიზეზად დაასახელა არა ნესტან-დარეჯანისადმი სიყვარული, არამედ საკუთარი უფლებები ინდოეთის ტახტზე:-

ხვარაზმ-შა დასვა ხელმწიფედ, რამრჩების რა ნაცვალია,
– სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერჩევას მე ჩემი ხმალია?

საკითხის ამგვარად დაყენება თვითონ ნესტან-დარეჯანმა ურჩია მას /454/:-

იგი რა მოჰკლა, ეუბენ ჰაჭრინსა ჩემსა მამასა;
ჰკადრე თუ:"ხმარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაციხრი ქალაქსა, ვითა ვრამასა".

გამოდის, რომ მთავარი მოლდი აქ ყოფილა არა ტარიელი, არამედ ნესტან-დარეჯანი და, მაშასადამე, იგი სამართლიანად წაუყვანიათ ქაჯებს, როგორც მათი სისხლი და ხორცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, როგორც ზევით აღვნიშნე, სიმართლესა და გულწრ-ფელობას ყოველი რელიგია და, სხვათა შორის, ქრისტიანულიც, მოით-ხოვს. შექსპირის იაგო იყო ქრისტიანი, ამავე დროს ის იყო სიცრუ-ისა და ყოველგვარი ბოროტების ბუდე; იგი ღალატობდა თავისი სარწ-მუნოების მოთხოვნილებას და, მაშასადამე, მოლიდი ყოფილა, და მე-რე ისეთი, რომ მთელი ქვეყნის მოლიდებს ჯიბეში ჩაისვამდა.

შემდეგ მკვლევარი გადმოგვცემს კიდევ ერთ ახალ ამბავს:-"ყურანში სასტიკად აკრძალულია მრუშობა"-ო. სახარება კი, ერთი სიტყვით, სულ მრუშობისაკენ მოუწოდებს ქრისტიანებს! რა თქმა უნ-და, პროფ. კეკელიძემ ჩვენზე უკეთ იცის, რომ ქრისტიანულ-ებრაული სარწმუნოების ერთერთი მცნება არის:-"არა იმრუშო", მაგრამ სწერს ისე, რა ენაღვლება,- ეს ხომ ლიტერატურული კვლევა-ძიებაა, და ისიც ვეფხის-ტყაოსნის გარშემო, და არა მათემატიკა, სადაც ზედ-მეტი ლაპარაკი რაიმეთაც მიღებული არ არის. ყურანის ამ ნიშან-დობლივი თვისების დარკვევად მას მოჰყავს ავთანდილის კავშირი ფატმანთან და ტარიელის სავსე ხასიათის მიდრეკილება ერთი პირ-დაპირული ქალისადმი:-"მართალია, ისინი ჯერ ფიზიკურად არ შეერ-თებიან ერთმანეთს, მაგრამ გონებით და სიტყვით შეერთებულნი არიან"... ასე გეგონებათ, თითქოს ეს სიტყვები ამოწერილი იყოს რომელიმე პროვინციელი ქალიშვილის დღიურიდან. მაგრამ სჯობსაც რომ თავი დავანებოთ, აქ არის ფიზიკური ხასიათის გაუგებრობა. პირდაპირული ქალი, რომელმაც ტარიელი გაიხმო ქვეყნიდან, იყო ასმათი, და ამ დროს არავითარი "სიტყვით" ტარიელი და ნესტანი შეერთებულნი არ ყოფილან. ტარიელმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ ნეს-ტან-დარეჯანი მის სიყვარულს იზიარებს. მკვლევარს მოეთხოვება, რომ შინაარსი მაინც იცოდეს ხეირიანად იმ ნაწარმოების, რომლის განხილვას ის ასე დაჟინებით ჩასჭიდებია. ესეც არ იყოს, რა მო-ლიდობაა სიყვარულში ღალატი? პროფ. კეკელიძესავით თუ ვიმსჯე-

ლებთ, დავინახავთ, რომ მსოფლიო ლიტერატურა და თვით სინამდვილე მულიდებით ყოფილა სავსე. მაშინ, მაგალითად, ჭინ-ქუანი ას-პროცენტიანი მულიდი იქნება, და, მაშასადამე, მულიდები, კუშკინი და სხვანი, ვისაც ეს თემა დაუმუშავებია, მულიდ-ასასინთა ზნე-ჩვეულების ამსახველი მწერლები ყოფილან.

საჭიროა შევჩერდეთ კიდევ მკვლევარის მიერ პოემის ერთი ადგილის გაგებაზე. მისი აზრით, შემდეგი სტრიქონი:-"თუ ქაჯნი დავთა შევებნენ, იყოს დიე იგი ძნელი"-ო, უნდა იკითხებოდეს ასე:- "თუ ქ უ ჯ ნ ი დ ა ვ თ ა შევებნენ, იყოს დიე იგი ძნელი"-ო. პროფ. კეკელიძის მსჯელობა ამ სტრიქონის გარშემო, ჩვენის აზრით, საბოლოოდ დარჩება ქართული კრიტიკის ისტორიაში, როგორც თითქოს საჩვენებელი ამბავი. წარმოუდგენელია ამავე ეპოქეში პაროდიის შეხვედრა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა საშიში კურიოზებამდე მიდიან ზოგჯერ ვეფხის-ტყაოსნის მკვლევარები თავიანთ მსჯელობაში პოემის ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ამასთან შედარებით უფერულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომელიც შეაქვს ჯონათან სვიფტს ლაპუტის აკადემიკოსების დახასიათებაში. ძნელია და დაუჯერებელიც არის მკვლევარის მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებათა წინააღმდეგ კამათი, მაგრამ ერთ გარემოებას მაინც აღვნიშნავ. პროფ. კეკელიძის აზრით, მონადირეების ერთ ჯგუფს, უფროსებს, ეწოდებოდა "ქუჯნი", ხოლო მულიდ-ასასინების მეორე საფეხურს "დავნი", და ეს ადგილი პოემისა მიუთითებს მათ შორის არსებულ ბრძოლაზე. თუ ეს ასეა, მაშინ ყველგან, სადაც კი ქაჯია პოემაში ნახსენები, უნდა იყოს ქუჯი, რადგან პოემის ამ ადგილს, რომელიც ქაჯებზე გალაშქრების სამზადისს აგვიწერს, უშუალო და ორგანიული კავშირი აქვს ქაჯების ამბავთან. გამოდის, მაშასადამე, რომ ქაჯები/=ქუჯები/ მულიდები კი არა ყოფილან, როგორც ასე მჭევრმეტყველურად

ნაიმეკიცებდა მკვლევარი ამიენ ისნს, არამედ მონადირეების ყომი ქიაურები, ხოლო თვით მღვდლები კი დაკები ყოფილან! მაგრამ ამაზე კიდევ უფრო გასაოცარი და საარაკო ის გაუგებრობა არის, რომელიც გამოუწვევია, პროფ. კეკელიძის შენიშვნებაში პოემის ზემოთმოყვანილი სტრიქონის მომდევნო სტრიქონს:- "უმის-ჟამისად ვინც გახსნის არის მეფეთა მკვლელი". მკვლევარი ამის შესახებ სხვათა შორის სწერს:- "თუ წარიელმა და ავთანდილმა გადასწყვიტეს გახსნა ამ კიდობნისა, იმიტომ, რომ დამდგარა მომენტი ქაჯ-დევეთა შებმისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამას არ ჩაიდენდნენ, ვინაიდან, თანახმად წარწერისა, ისინი გახდებოდნენ მკვლელნი თავიანთი მეფეებისა, რაც, მათი პატრონ-ყმური იდეალის მიხედვით, დაუშვებელი იყო მათთვის"...1/ ამგვარად, პროფ. კეკელიძეს ხსენებული სტრიქონის აზრი ისე გაუგია, თითქოს იგი წარმოადგენდეს წინასწარმეტყველებას, რაიმე ფაქტის, ბედისწერის ხმას, რომლის თანახმად, თუ წარიელისა და ავთანდილის მიერ კიდობნის გახსნა ერთი აღმოჩნდებოდა, მაშინ ორივე გმირი გაიქცეოდა - ერთი ინდოეთს, მეორე - არაბეთს, და დახოცავდენ თავიან მეფეებს. პროფ. კეკელიძის გამოკვლევა რომ იუმორისტული ნაწარმოები იყოს, ხსენებული ტექსტის ამგვარი განმარტება, როგორც ხუმრობა, მეტად გონებამახვილური იქნებოდა, მაგრამ, როდესაც ყოველივე ეს სერიოზულად არის ნათქვამი, მაშინ, არა თუ სიცილი, არამედ დიდი მწუხარება გვმართებს ქართული ლიტერატურული კვლევა-ძიების მდგომარეობის გამო. რა აზრს შეიცავს ნამდვილად ის წარწერა, რომელიც წარიელისა და ავთანდილის მიერ დევების ქვაბში გახსნილ კიდობანს ეწერა თავზე? აი მთლიანად ეს წარწერა:-

ზედა ეწერა:-"აქა ძეს აბჯარი საკვირველი,
ჩაჩქან-ჯაჭვი, ალმასი, ხრმალი ბასრისა მჭრელით;

---

1/ მ ნ ა თ ო ბ ი № 9-10, გვ. 214.

თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დაე იგი ძნელით;
ჟამის-ჟამისად ვინც გახსნის, არის მეფეთა მკვლელით".

დევებს ჩაუდაგებიათ საგანძეთ, თილისმური იარაღი ერთ კიდობანში და დაუწერიათ ზედ:- ეს იარაღი ამოიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგება დევების და ქაჯების მეფად საძნელო ომის დღე, მანამდე კი ვინც ამ კიდობანს გახსნის, ი ს ჩ ა ი დ ე ნ ს ი მ გ ვ ა რ ს ა ვ ე დ ა ნ ა შ ა უ ლ ს, რ ო გ ო რ ი ც ა რ ი ს მ ე ფ ე თ ა მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა. მაშასადამე აქ ადგილი აქვს არა წინასწარმეტყველებას, რომ ვითომც ამ კიდობანის უდროდ გამხსნელები თავიანთ მეფეებს დახოცავენ, არამედ დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ი ს კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა ს. ძველ დროს ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა მეფის მოკვლა, და აი ამ დანაშაულობასთან არის შედარებული კიდობნის გახსნა ვადამდე.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ქაჯეთის ციხის აღება სარგის თმოგველს, ვეფხის-ტყაოსნის ამ ახლად აღმოჩენილ ავტორს, ალამუთის ციხის აღების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ აუწერია; იგი სწერს:- "ამ შემთხვევაში თითქოს ისტორიული და პოეტური დეტალებიც ხვდებიან ერთმანეთს. ქაჯეთის ციხე-ქალაქი "ყოვლგნით კლდე იყო /1233/ "ვარე კლდე" შემოვლებული /1236/ ისე, როგორც ალამუთი; იმაში შესვლა ისე, როგორც ალამუთში, ვიწროთი და ხვრელით შეიძლებოდა /1104, 1156, 1237/. ისტორიიდან ცნობილია, რომ ალამუთის აღებისას გასწყვიტეს თ ო რ მ ე ტ - ა თ ა ს ა მ დ ე მისი მცველი, პოემაში ნათქვამია, რომ ქაჯეთის ციხეს იცავდა ათი ათასი ქაჯუკი /1104, 1237, 1258/, რომელიც "სრულად აწყვიდნეს" /1257/; ეს ორი ციფრი დიდად არ არის დაშორებული ერთმანეთს". 1/ ამის შესახებ მკვლევარს უნდა ვუპასუხოთ შემდეგი:- ვეფხის-ტყაოსნის ავტორს, კლდეზე

---

1/ იქვე, გვ. 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენებული ციხის სანახავად საქართველოდან შორეულ ქვეყანაში არ მოუხდებოდა წასვლა, რადგან ასეთი ციხეები მრავლად მოიპოვება ჩვენში, მით უმეტეს, თუ პოემის ავტორი სარგის იყო, რომლის საგვარეულო სამფლობელოს დიდებული თმოგვის ციხე წარმოადგენდა.

თვითონ ქაჯეთის ციხე-ქალაქის შესახებ მკვლევარს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია; მასში შესვლა შეიძლებოდა არა გვირაბით, არამედ სამი კარით, რომელიც აშმული ქონდა ქალაქის გალავანს სხვა და სხვა ადგილას; შუა ქალაქში კი აღმართული იყო ციცაბო კლდე, რომელზედაც იდგა ციხე; და ამ ციხეში ადიოდა გზა კლდეში აყვანილი გვირაბით. მაგრამ მთავარი შეცდომა პროფ. კეკელიძეს ქაჯეთის ციხის გარნიზონის გამოანგარიშებაში მოსვლია; აქ ჩვენ ვხედავთ კიდევ ერთ გასაოცარ შეცდომას იმისას, თუ რამდენად კარ ერკვევა იგი ვეფხის-ტყაოსნის ტექსტში. თვითონ მას მოჰყავს იმ ტაეპის ნომერი, საიდანაც ჩანს, რომ ვითომც ქაჯეთის ციხე-ქალაქს ათი ათასი ჭაბუკი იცავდა /1104/, აი ეს ადგილი:-

გვირაბის კარსა ნიადაგ მოუყმე სცავს არ პირ-ნასები,
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყმაწვილი ხასები;
ქალაქის კართა სამთავე სამ-ათას სამ-ათასები.

აქ აშკარად არის ნათქვამი, რომ გვირაბის კარს იცავდა ათი ათასი მეომარი, ხოლო ქალაქის სამ კარს სამ-სამი ათასი. მაშასადამე სულ ც ხ რ ა მ ე ტ ი ა თ ა ს ი. ამგვარად "ისტორიული და პოეტური დეტალები" არც ისე კარგად ხვდება ერთმანეთს, როგორც ეს მკვლევარს წარმოუდგენია.

დასასრულ, პროფ. კეკელიძე იძლევა მეტად გრძელ ისტორიულ მიმოხილვას. აქ მოცემულია თავისებური გაშუქებით მონღოლე-

ბის ბატონობის ისტორია, როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ ქვეყნებში. ჩინგის ყაენი, ბათუ ყაენი, მანგუ ყაენი, საბერძნეთის სულთანი, ნოინები, იმდროინდელი ქართველი მეფეები - დემე მეორე, რუსუდანი, დავით-ნარინი, ულუ დავითი, ქართველი დიდებულები - ვარამ გაგელი, ავაგი, ცოტნე დადიანი /ყველასათვის ცნობილი თავგადასავლით/, სარგის თმოგველი - ერთი სიტყვით ყველა, ვინც გნებავთ, არ არის მხოლოდ პოემის ავტორი შოთა რუსთაველი; რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, პროფ. კეკელიძეს მე-16 საუკუნის ათაბაგ მზეჭაბუკთან გაუმჩესებია ალამდარ. რა საჭიროა მთელი ეს ამბები, რომლებსაც აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს პოემასთან? მხოლოდ იმისათვის, რომ "გამოკვლევა" დაიწეროს. "დახვეწილ რითმებზე" მსჯელობით მკვლევარმა ბევრი-ბევრი ორი ფურცელი გაავსო, დანარჩენი მასალა საიდან უნდა მოიტანოს, თუ არა ისტორიიდან? რა სჯობია ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით ქართულ ისტორიას, სადაც იტყვი იმას, რაც გინდა, და დაამტკიცებ იმას, რაც დაგესიზმრება!.

აქ, თავის გამოკვლევის დასასრულში, პროფ. კეკელიძეს მეუცრადებია კვლავ და გვიმტკიცებს, რომ მონღოლების ბატონობის დროს /დაახლოვებით პირველი 30 წლის მანძილზე/ საქართველო ეკონომიურად და კულტურულად მაინც და მაინც არ დაზიანებულა და ამ ხანებში ვეფხის-ტყაოსნის დაწერა შესაძლებელი იყო. ის გვიმტკიცებს, თითქოს საზოგადოებრივი ურთიერთობა არ გამოცვლილა, თამარ მეფის დროსთან შედარებით, მაშინ, როდესაც ქართველ თავადებს ურთმანეთთან მისვლა ვერ გაებედნათ და, კოხვის თავზე საიდუმლოდ შეკრებილნი, სადაც ერთმანეთს ჩუსრითდენ -"არა არს ჟინე ჩვენი, და ჩვენ უმეფონი ვართ"-ო, -დააპატიმრეს ისინი თათ-

რებმა, წაასხეს ანის ქალაქს და ციხეები დაჰყარეს მზვეზე. კორნ. კეკელიძე გვარწმუნებს, წინააღმდეგ საერთოდ მიღებული შეხედულებისა, რომ "სამეფოს ორად გაყოფამდე მეცამეტე საუკუნეში იმერეთი არ და-წეულა არც ეპონიმიური, არც პოლიტიკური და არც კულტურული ცნება, რომ ნაცად კავკასიონამდე და ზღვამდე იყოს ლაპარაკი ხევში. ასეთი რომ დაიწყო სწორედ სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, როდესაც მონღოლებმა მოახდინეს მოსახლეობის აღწერა რეგულარული ხარკის დადების მიზნით.[1] როგორ თუ კავკასიონამდე /და ისიც პოლიტიკური!/ არ მოიცავდა და ხვარაზმელების შემოსევამდე ჩვენში? საიდან, რომე-ლი წყაროების მიხედვით გამოიტანა ასეთი დასკვნა მკვლევარმა? იმდროინდელი მემატიანე იმდენად არის შეძრწუნებული მომხდარი ამ-ბებით, რომ სწერს:- " აქა მეგულვებოდა დადუმებად, რომელ სულთ-ბიერსა მიეთხრობ ცვალილითა ცრემლისათა, და ცრემლთა მიერ აღვივსე-ბი"-ო. მისი სიტყვით საქართველოზე რისხვით-წარმოსული ჯალალედინი მოიწია "სომხითად და მოარბია ყოველი სომხითი და დასცნა მკვიდრ-ნი მისნი პირითა მახვილისათა ესრეთ, რომელ არავინ დარჩა მამა-კაცი". ხოლო ტფილისში აი რა ჩაიდინეს მათ იმავე მემატიანეს გა-დმოცემით:- "ესე-ოდენ ძვირნახვნი ხოცეს, რომელ ჩჩვილნიცა ძუძუ-თაგან დედისა აიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან. რომელ-სამე თვალნი წარსცხიან და რომელსამე ყურნი დასთხრის, და მერმე დედანი მოიკლიან, ბერ-ბერნი უწყალოდ ტილოთა მიწა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდეს და ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს. სისხლისა მდი-ნარენი დიოდეს, თავი განისაგან მორებული და იმა ნაწევართაში-გან ალრეულნი. და დედაკაცი და მამაკაცი ერთიერთარს არეული მკვდა-რთა შიგან ცხენთა ფერხითა იზილებოდეს. არა ყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელიმე დანითა ყელსა დასობილი. სხვანი მკერდსა დაცე-მითა, და სხვანი მუცელსა და ზურგსა ზედან განიპოდეს". არა თუ

---

1/ მ ნ ა თ ო ბ ი, № 9-10, გვ. 221

უწყალო ხალხი, "მკვდარნი და დაჭრილნი, და მონაზონნი ეკლესიასა შინა, თვით ხატთა და ჯვართა თანა შეიმუსრვოდის და დაიკვეთის". შემდეგ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მოედვნენ და ეს ამბავი ერთსა და ორ თვეს კი არ გაგრძელებულა:- "რამეთუ ორ წელ. პირველ ააოხრეს ქვეყანა და ერთი წელი ქალაქსა დაყვეს და აოხრებდეს ამათ შემოთხსენებულთა, და არცარა იყო შენებულება ერთნიერ ცი- ხეთა და სიმაგრეთა". ამას მოჰყვა ჯალალედინის მეორე შემოსევა საქართველოში; შემდეგ ამისა საქართველო დაიპყრეს მეორედ ისევ მონღოლებმა, რომელნიც "მოეფინნეს ქვეყანასა მსგავსად მკალთა, საოხრებლად და ხოცად, და არა-სადა იყო ღონება, მეწევნა და წყვედის-ცემა. ესრეთ ურყულით მოისრულდა ყოველი ესე ქვეყანა".

მემატიანე გადმოგვცემს საშინელ ამბების აღწერას:- "ყო- ველნი მკვიდრნი საქართველოისანი, აზნონი, ხელოსან მამ-დედა- ნი შვილთა მოკლულთა და შვილნი მამა-დედათა მკვდართა მტერთა- ნეთა". ქვეყანა განადგურდა, ხალხი, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა, ციხე-სიმაგრეს აფარებდა თავს. აღარ იყო ხელისუფლება, რუსუდან დედოფალი დასავლეთ საქართველოში იმალებოდა. კოხვის თავზე საიდუმლოდ შეკრებილი თავადები ბჭობდნენ:- "წავედით, რამეთუ არარაჲ არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვრად გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა". პროფ. ჰეკელიძე კი ასე ელიერად გაიხ- სენებს ყველას თავადებს, იმერეთინელი საქართველოს სახელმწიფო- ებრივი ჰეგემონია მონღოლებისა და ჯალალედინის შემოსევიდან 35 - 40 წლით გადმოაქვს აქეთ, და უკავშირებს ~~ამ~~ სამეფოს ორად გაყოფას და მონღოლების მიერ რევოლიუციური ხარკის დაწესებას.

საქართველოს ორად გაყოფას, პირიქით, შედეგად მოჰყვა სა- ხელმწიფო საქმეების ცენტრალ მოწყობილება, რადგანაც დიდი ტერიტორიის არეზე შეუძლებელი გახდა წესიერი ადმინისტრაციუ- ლი მართვა-გამგეობა. ამის შესახებ მემატიანე წერს:- "ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ, გარნა ეგრეთცა იყვნეს სიყვარულსა ზედა ერთმანერთისასა, დღით და ღამით, და დარჩა ლიხთ-აქათი ლაშას ძესა დავითს, და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა, და მიიწყო ცალი ქვეყანა, და მიიღო სიმდიდრე უზომო ლაშას ძემან, და წარმართა სახლი თვისი სამეფო კეთილად და მინებდა ერთ-ყოფნა". ან რა შუაშია, როდესაც ლაპარაკი კავკასიონზე გვაქვს, მონღოლების მიერ საქართველოს მოსახლეობის აღწერა და რეგულარული ხარკის დაწესებაზე? რითი იკვებებოდნენ მანამდე ათეული წლების მანძილზე მონღოლების ურდოები ჩვენში, — ილაჯგაწყვეტილი, განადგურებული და გაღატაკებული ხალხის ნაოფლარით, თუ ციდან ჩამოვარდნილი ამბროზიით, ან ნექტარით? სწორედ იმ წლიდან, როდესაც პროფ. კეკელიძე უკავშირებს სახელმწიფოებრივ კატასტროფას, ლოკალური დამშვიდება და მოსვენება ერთსა ქვეყანას მეფურ-ლეწვის გამანადგურებელ შემოსევამდე. მაშ ეს ყოველივე თვით პროფ. კეკელიძემ არ იცის? ძალიან კარგად იცის, მაგრამ მისი კვლევა-ძიებიდან გამომდინარე თარიღი ვეფხის-ტყაოსნის დაწერისა – 1257 წელი, მოითხოვს, რომ ის გამოყოფილი იყოს მონღოლების ბატონობის შემზარავი წყვდიადიდან და "მარქსისტულად" გამართლდეს პოემის დაწერის შესაძლებლობა იმ ხანებში. როდესაც პროფ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ვეფხის-ტყაოსანი თამარის დროსაა დაწერილი, მაშინ ის სწერდა:- "მონღოლთა შემოსევით და გაპარტახებით ნამდვილი კატაკლიზმი მოხდა ჩვენს კულტურულ ისტორიაში: ყოველგვარი მონაპოვარი ჩვენი კულტურული ცხოვრებისა მოისპო თითქმის, დაინგრა და გაპარტახდა ქალაქები, დაბები და სოფლები, შეიმუსრა განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. ახლა-ყველა იმისთვის ზრუნავს, რომ როგორმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზიკური არსებობა გადაირჩინის და შეინარჩუნის, ამ პირობებ-
ში კი, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი გახდებოდა ლიტერატუ-
რული მუშაობა და შემოქმედება". [1] ახლა კი, როდესაც მან აზ-
რი შეიცვალა და ვეფხის-ტყაოსნის შექმნა სწორედ ამ დაქვეულ
დროს მიაკუთვნა, იგი სწერს, რომ მონღოლების შემოსევას საქა-
რთველოში კატასტროფა არ მოჰყოლია, არ გამოცვლილა თითქმის
ეკონომიური პირობები, საწარმოო ძალთა ურთიერთობა - და [illegible]
"ქალაქებისა და სოფლების მოსპობისა და გაპარტახების" შემდეგ!

წინათ ის კულტურული სფეროს დაკნინების შესახებ შემდეგ-
სა სწერდა /ზემოთ მოყვანილ ციტატის გაგრძელება/:- "მონღოლ-
თა ბატონობამ სხვა გვარადაც შეუშალა ხელი ჩვენი საერო მწე-
რლობის განვითარებას. საქმე ისაა, რომ ისინი შეგნებულად აკე-
ძარიენ ქართველებსა და ხელოსნებს შორის, იმათ გააცალკევებს
ისინი". ახლა სწერს /იქვე გვ. 220/:- "მონღოლების შემოსე-
ვით არ დაზიანებულა ქვეყანა [2] არც კულტურული სფერო მატერია-
ლური ცხოვრებისა. პირიქით, ეს სფერო უფრო გაფართოებულიყო კიდე-
ვაც". /ვითომც მონღოლეთში ქართველების მიმოსვლის გამო/.
რა არის ეს? ვისთანა გვაქვს საქმე - მკვლევართან თუ ჟონგლი-
ორთან და ისიც ძალიან ცუდად ნაწვრთნილთან? ეს მარქსისტუ-
ლი კრიტიკის არა თუ ვულგარიზაცია, ვიდეურესი გამასხარა-
ვება და სასაცილოდ აგდება, ~~არის~~ ეს არის ნაღდი მიდიური კრი-
ტიკა მენშევიკურ სამოსელში. მკვლევარის აზრით გამოდის, რომ
ლიტერატურული კვლევა-ძიების მარქსისტული მეთოდით რასაც გინ-
და იმას დაამტკიცებს კაცი და როგორც გინდა ისე შეატრიალებ
საკითხს. მართალია, მეცნიერს უფლება აქვს, საითაც უნდა-იქით

---

1/ "ქართ. ლიტ. ისტ." ტ. II, გვ. 17. ამ ციტატის გაგრძელება არა ნა-
კლებ საინტერესოა; ამავე დებულებას არის მოყვანილი ციტატა [illegible]
I თავში.

2/ ეს "ქვეყანა" არის დაახლოებით 40 წელი.

გამოაბას თავის ქოთანს ყური, მაგრამ პროფ. კეკელიძემ უნდა იცოდეს, რომ არც ვეფხის-ტყაოსანი, და არც ქართული ისტორია მისი ქოთანი არ არის.

ვეფხის-ტყაოსანი დაუწერია თურმე ამ ეპოქაში ცნობილ პირს სარგის თმოგველს, რომელიც მთელი წელიწადი, თვითონ მკვლევარის ანგარიშით, ალმუთელებს ებრძოდა, ხოლო უფრო ადრე, რამდენიმე წელიწადი მონღოლ ყარაყორუმში მოგზაურობდა. მაგრამ, როგორ მოგზაურობდა? ~~[illegible]~~ლი-ბით ცხენზე იჯდა და, ლექსებს ასხამდა კი არა, გაჩენის დღეს იწყევლიდა ალბათ. საკვირველი ის არის, ~~[illegible]~~ თუ ცოცხალი როგორ დაბრუნდა, როდეს ვეფხის-ტყაოსანის დაწერას კიდევ ასწრობდა.

პოემის პროლოგში სამი ყაენი თამარის შესახებ, თურმე ყალბი ყოფილა /წინათ მთელი პროლოგი იყო ყალბი/; ხოლო ეპილოგში მოქებული დავითი — "ვინ არის აღმოსავლეთით-დასავლეთს ზართა მარებელი", — ყოფილა არა დავით სოსლანი, არამედ დემე ბიორგის შვილი დავითი, ის დავითი, რომელიც ათი წელიწადი, მემატიანეს გადმოცემით, თათრებს ჰყავდათ ჩაგდებული გველებით სავსე ჯურღმულში, ხოლო შემდეგ მთელი წლობით ხან ერთი ყაენის წინ იყო დაჩოქილი და ხან მეორეს წინ, როგორც სამეფო ტახტის მთხოვნელი. ეს დავითი ყოფილა თურმე "აღმოსავლეთით-დასავლეთს ზართა მარებელი". ეგებ აქ ნაგულისხმევია მისი მოგზაურობა ზურგით და კიბილით დასავლეთიდან-აღმოსავლეთს საქართველოდან ყარაყორუმს — უკანვე დაბრუნებით? 1/

---

1/ უკანასკნელ ხანებში ტფილისში ყოფნის დროს აკად. ნ. მ ა რ ს ერთერთ საჯარო კრებაზე განუცხადებია ამის გამო, რომ აქ ნაგულისხმევია დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი. ცხადია ეს ასეა, მაგრამ პატივცემულ აკადემიკოსს ამასთანავე უთქვამს, რომ დავითის სახელი თითქოს ირიბად არის მოხსენებული პოემის შიგნი ტექსტის ერთ შემდეგ სტრიქონში კალამბურის სახით: — "შავი ლიენი ხა/დავით/ა ჰყვა ლომსა /და ვით/ა გმირსა". საკვირველია! რა ემართება ვეფხის-ტყაოსანის მკვლევარებს? თუ სიტყვათა ნაწილაკებს ასეთი მნიშვნელობა მიეცით, მაშინ მე უფრო დიდი ამბების აღმოჩენა შემიძლია ამ პოემაში.

ვეფხის-ტყაოსანი მის ახლად აღმოჩენილ ავტორს დაუწერია თურმე ერთი წლის განმავლობაში, სახელდობრ 1257 წელს, რომელიც კი დაბრუნებულა ალმუთელებთან იმის შემდეგ ~~სახლში~~ შინ. რამდენი-დაც კიდით. პროფ. პეპელიძეს ამ თავის გამოკვლევაზე უმუშავ-ნია რამდენიმე წელიწადი, ~~და~~ ხოლო თვით ამ გამოკვლევის ობიექტის— ვეფხის-ტყაოსნის, დაწერისათვის, როგორ ფიქრობს, ერთი წელიწადი ცოტა არ იქნებოდა?

მოვიყვანოთ ცნობები მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი პოე-მების დაწერის ვადების შესახებ. ჰ ო მ ე რ ო ს ი ს პოემებ-ზე ასეთი ცნობები არ მოიპოვება; ვირგილიუსმა თავისი "ენეიდა" სწერა დიდხანს, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო და ვერც დაწერი-ლი დაასრულა; დ ა ნ ტ ე ს "ღვთაებრივი კომედია" იწერებოდა დაახლოებით 20 წელი; ა რ ი ო ს ტ ო მ "შეშლილი როლან-დი" სწერა 26 წელი /1506-1532/; ტ ა ს ო მ "განთავისუფ-ლებული იერუსალიმი" სწერა რამდენიმე წელი და ავტორისათვის ტრაგიკული თავისი ნაშრომით; მ ი ლ ტ ო ნ ი "დაკარგული სამოთხის" დაწერას მოუნდა 7 წელი, ხოლო წინასწარ ფიქრს კი 10 წელი; რ ო ნ ს ა რ მ ა "ფ ე ნ ტ ი ა დ ა" სწერა დი-დხანს, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა; კ ლ ო პ შ ტ ო კ ი მოუნდა "მესიადას" 28 წელი /1745-1773/; გ ო ე ტ ე მ სწერა "ფაუსტი" 58 წელი /1774-1831/; ბ ა ი რ ო ნ მ ა "ჩაილდ ჰაროლდი" - 8 წელი /1809 - 1817/; "დონჟუანი"

დავუმატოთ ამგვარად, რომ რუსთაველი ყოფილა წინასწარმეტყველი იყო:-მას თავისი პოემის ტექსტში რამდენჯერმე მოხსენებული ჰყავს თვით ალაჰ. მ ა რ ი; აი ერთი ამ ადგილთაგანი:

"მოდი /მარი/ ო, უწყალოდ დამჭრელ ლახვრითა შენითა,
შემამჭრე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა!"

აკად. მარს დიდ ამაგი მიუძღვის ვეფხის-ტყაოსნის წინაშე, მაგრამ რომ მისმა მოწაფეებმა რუსთაველის სახელი "შეღალეს და შესვა-რეს", ამაში არავითარი ეჭვი არ არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწერა 1816 წლიდან და დარჩა დაუმთავრებელი სიკვდილის გამო; პ უ შ კ ი ნ მ ა "ევგენი ონეგინი" - 10 წელი; ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ მ ა "დემონი" - 12-13 წელი. მიცკევიჩმა "პან ტადეუში" - სამი წლის /1832-34/ განმავლობაში. ცნობა არა გვაქვს ლ ო ნ გ ფ ე ლ ო ს "ჰაიავატას" შესახებ. ეს არის დასავლეთის და რუსეთის განსაკუთრებით ცნობილი /ზოგი არც თუ ძალიან ცნობილი/ პოემები, აღმოსავლეთის პოემებიდან ფ ი რ დ ო უ ს ი ს "შაჰ-ნამე" იწერებოდა 30-35 წლიწადი.

ვეფხის-ტყაოსანი რატომ უნდა დაწერილიყო ერთი წლის განმავლობაში? მართალია, ამ პოემის მკვლევართა აზრით, პოეტს მუზა ჩამოუფრინდება ციდან, მოუჯდებოდა გვერდით, და ისიც სწერს მისი კარნახით, თუ თვალდაუხუჭველი არა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქაღალდს არ დააცილოს ხელი; მაგრამ ზემოხსენებულმა პოეტებმა რაღა დაამტკიცეს, რომ ასე გაუგრძელებია ამ მუზას მათი წერის პროცესი? ვეფხის-ტყაოსანის თვით უდაო ტექსტს სხვა და სხვა რედაქციის კვალი ემჩნევა - ავტორს უმუშავნია მასზე ათეული წლები.

როგორც დავინახეთ, არც ერთი ამ გამოკვლევაში წარმოდგენილი მოსაზრება არ შეიცავს ცოტაოდენ წონას, მაგრამ არ იკითხავთ, როგორი ცოდნით სწერს მის წინასიტყვაობას ავტორი? მას ნამდვილად სჯერა, რომ საკითხი საბოლოოდ გადასწყდა და, უდებს რა ჯამს რუსთველოლოგიას, სულგრძელად აღნიშნავს სხვა მკვლევარების ცოტაოდენ მიხვედრებს:- "სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნული იქნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ახლო მისულან სიმართლესთან, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეუცვნიათ ის და, როგორც თვალახვეულთ, გვერდი ჩაუვლიათ მისთვის".

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შემდეგ ასეთი შენიშვნით იწყებს თავის კვლევა-ძიებას:- "ჩვენში მტკიცედ ფესვგადგმულია შეხედულება, რომ ავტორი ვეფხის-ტყაოსნისა არის შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი; დღეს იმდენად მტკიცეა ეს რწმენა, რომ სხვაგვარი აზრი ზოგიერთ ზომადაკარგულ მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ს ეროვნულ და პირად შეურაცხყოფადაც კი ესახება ხოლმე"-ო,-ეს მამულიშვილები, მოლიდებიათ რომ დამდგარან ჭეშმარიტების გზაზე და გასაქანს არ აძლევენ ნამდვილ მეცნიერებას! ისინი ძველადაც ასე იქცეოდნენ:" საკმაო იყო, ვეფხის-ტყაოსანის რომელიმე მეცნიერ მკვლევარს ორიგინალური აზრი გამოეთქვა პოემის ან მისი ავტორის შესახებ, და ისინიც მაშინათვე ასტეხდენ განგაშს. მართალია, ზოგს მკვლევარი თვითონ უარყოფდა თავის შეხედულებებს და ისევ ამ მამულიშვილების თვალსაზრისს დაუბრუნდებოდა, ცოტა არ იყოს დარცხვენილი, მაგრამ რაღაც უსიამოვნო გრძნობის ნალექი მაინც რჩებოდა გულში მამულიშვილების მიმართ. პროფ. კეკელიძის მდგომარეობა კი სხვანაირია; მისდა სამწუხაროდ მას საქმე აქვს დღეს, არა მამულიშვილებთან, არამედ ნამდვილ ლიტერატურულ კრიტიკასთან, რომელსაც არ ჰყოფნის მოთმინება უცადოს, თუ როდის ინებებს მკვლევარი თვითონვე უარყოს თავისი შეუსაბამო შეხედულება, და თავის დროზე ააშკარავებს მისი კვლევა-ძიების "მეცნიერულ" საფუძვლებს.

მამულიშვილებზე მითითება აქ არის უბრალო დემაგოგია, ყალბი მარქსიზმის დასაფარავად; მაგრამ ამითი პროფ. კეკელიძე ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს. "ზომადაკარგული მამულიშვილი" და წარსულის მოტრფიალე არის ის, ვისაც ჰგონია, რომ თამარ მეფის სახელი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას ~~ოკი~~ ასხამდა ფრთებს და, რომ მაშინდელ საქართველოში ადამიანს დაკვნესების საბაბიც არა ჰქონია.

-------------ooo0ooo-------------

~~63.2 გ.~~
54 ~~გვ.~~
~~197/VII-335.~~